# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

აპრილის 6—12

1925 წ. — № 8


## სიმღერა

დაგვიზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბილ ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!..
ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი,
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.
მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით,
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი!
სჯობს მიჰბაძოს იმან მერცხალს
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს.
საზრდო მისცეს სულსა და გულს,
მით სურვილი დაიმწიფოს;
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,
მაშინ ისევ გადმოფრინდეს,
აჭიკჭიკდეს, ვით მერცხალმა,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული,
ახლო არის მომავალი!“
დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

აკაკი.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა.
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც განა?!

აკაკი.

## აკაკი



აკაკის გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულებისა აღსანიშნავად.

## ავადმყოფი

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს,
და ისევე გაიღვიძებს,
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს.

ბევრის ბრძოლით დაღალულსა,
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება.

ჩვენ კი ჩვენდა თავად ვიტყვით,
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა,
მომავალი ბედის წერა.

მისთვის, რომ დღეს ველარ
გვარჩენს,
არა გვმართებს ორგულობა,
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა.

დეე მისთვის გავლარიბდეთ,
ზურგს მოვიდგათ საწყლის გუდა;
პატრონსანს ღარიბს რით სჯობს,
გამდიდრებული იუდა.

არ მომკვდარა, მხოლოდ, სძინავს,
და როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ, სახელს
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს.

აკაკი.

არა!... აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს დავმღერ, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!...

აკაკი

## ზამთარში

შ. ქიქოძის ძველი ნახატიდან.

მისი საღამოს გამო მცირე თეატრში ორშაბათს, აპრილის 6

ფასი 25 კაპ.

## რედაქციისაგან

1. ჟურნალი მხოლოდ თავისი მკითხველების და ხელისმომწერთა ნივთიერი დახმარებით გამოდის, არავისაგან **არავითარი ნივთიერი დახმარება (სუბსიდია) არ ეძლევა**, ამიტომ ვსთხოვთ ყველას კუთვნილი ფული დროით გამოგვიგზავნონ; 2. ვინაიდან საპრემიო წიგნის „ცხოვრების სარკე“-ს გამოცემას ამ დღეებში უნდა შევუდგეთ, მომწერთა რაოდენობა, ამიტომ ვსთხოვთ ჩვენს რწმუნებულ-აგენტებს, საჩქაროდ მოგვაწოდონ ცნობა, ვის რამდენი წლიური ხელისმომწერი ჰყავს, დაგვიბრუნონ საქვითარო წიგნაკები და ანგარიში გაგვისწორონ, რომ იმდენი წიგნი დაუბეჭდოთ, რამდენიც ხელის მომწერი გვეყოლება; 3. ვისაც ჟურნალი არ მიუვა, დროით გვაცნობოს (რუსთველის პრ. № 34).

რედ.

## „თეატრი და ცხოვრება“-ს 15 წ. არსებობის აღსანიშნავი

# ს ა ღ ა მ ო

მოკლე ხანში გაიმართება; ამავე დღისთვის გამოვა „თეატრი და ცხოვრება“-ს საიუბილეო ნომერი—მრავალის სურათით და წერილებით.


# ამიერკავკასიის რკ.-გზათა ეკონომიური სამსახური

## აცხადებს რომ ქალაქ

| | | |
|---|---|---|
| ტფილისის | ერევნის | თელავის |
| ბაქოს | ბათომის | ევლახის და |
| მოსკოვის | განჯის | ზუგდიდის |

**საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:**

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაზიდვა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა სარკინისგზო მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, სააქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(2—2)





## ა. ალექსიძის

# საცეკვაო სტუდია

**ვასწავლი ყოველგვარ**

კავკასიურ ეროვნულ და ევროპიულ ცეკვებს

ხელსაყრელ ფასებში

**ბავშვებს 12 წ. ვღებულობ განსაკუთრებულ ჯგუფებში.**

**პირობებზე მოლაპარაკება ყოველდღე 5—8 საათ., გარდა კვირისა.**

**კალინინის ქ. (ნიკოლოზის ქ.), № 47.**

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925
წელიწ. XV
№ 8
(364)
ფასი 25 კ.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34
„თეატრი და ცხოვ-ება“,
იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | აპრილის 6—12 | გამოსცემა 1925 წ.


## კვლავ გატეხილ გობთან!..

მოგახსენებთ იმაზე რაც ყველასათვის ცხადია:

სოფელში სასცენო მცოდნე ხემძღვანელნი არ არიან, ქალაქში კი (უმთავრესად ტფილისში) თავმოყრილი მსახიობნი და სხვა დარგის ხელოვანნი ან უსაქმოდ ქუჩებს სტკეპნიან, ან სიმშილით ილვრძნებიან, ან ერთმანეთის გაჰორვაში ათენ-აღამებენ.

ვინ ამბობს, კარგია თბილ ადგილას მოკალათება, ადვილია ჩინოვნიკური მსახიობობა, ერთი როლის დაზეპირებით მთელი წლის განმავლობაში ერთი და იმავის ტკეპნა თავშეუწუხებლად, კიდევ უფრო საამოა ნათელი და ყოველმხრივ მოწყობილი სათეატრო დარბაზი, მაგრამ ამით ჩვენი ქვეყანა სახელოვნო სარბიელზე ფეხს შორს ვერ გადადგავს:

ამითი ხელოვნების სხივები ყოველმხრივ ვერ მოეფინება ხალხის ყოფა-ცხოვრების ბნელ კუნჭულებს.

ეს უნდა იცოდეს ყველამ. მთელი ჩვენი კულტურულ შემოქმედებითი ძალ-ღონე სოფელს უნდა მივმართოთ.

და ვისაც ოდნავ კიდევ შერჩენია ხალხის სიყვარული და ხელოვნების დიადი მნიშვნელობა ესმის—სოფელს მიაშუროს.

**იოსებ იმედაშვილი**

## აკაკის სამარის აღდგენისათვის

ვინ იქნება ისეთი ქართველი, თავის გულის მესაიდუმლე, სულის ტკივილთა დამაშუშებელი მზიური აკაკი არ ახსოვდეს:

მეცხრამეტე საუკუნის დიდი მგოდებელი—მეოცის წინასწარმეტყველი, დღეის დღიურობის მომღერალი, მთაწმინდის გულს ჩახუტებული, ამ ჟამად თითქმის დავიწყებულია.

მისი სამარე ვერანად ქმნილა, მთის ღორღი საცაა წაჰნაშავს.

არა თუ სულმნათ აკაკის, არამედ ცოტად თუ ბევრად ნაამაგდარ ადამიანის სამარესაც არ შეჰფერის ასეთი უყურადღებობა.

ამის თაობაზე გასულ წელსაც ვწერდით (იხ. „თ. და ც.“ № 11), ამ მიზნით მხოლოდ ბიკ. თევზაიამ შემოიტანა 5 მან., ხოლო ბოლო ხანებში მოზარდი თაობა აზმაურდა აკაკის ხსოვნის ირგვლივ.

ვაშა მათ გულის თქმას!

აკაკის ხსოვნის საღამოს გამართვა ჩვენ განვიზრახეთ თებერვლის 28-ს საოპერო თეატრში; სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა, ვერც რუსთველის თეატრში. ბოლოს მცირე თეატრში ვიშოვეთ ბინა და დღეს, **ორშაბათს, აპრილის 6-ს** იმართება დიდი სამუსიკო-სალიტერატურო საღამო, რ ო მ ლ ი ს მ თ ე ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი ა კ ა კ ი ს ს ა მ ა რ ი ს გ ა მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა ს მ ო ხ მ ა რ დ ე ბ ა. დარწმუნებული ვართ, აკაკის ჩანგის მოყვარენი დიდის ხალისით დაესწრებიან ამ საღამოს და საშუალებას მოგვცემენ ოდნავ მაინც აღვადგინოთ და შევალამაზოთ დიდის ქართველის პატარა სამარე.

**ივ. გომართელი**

## კ რ ი ტ ი კ უ ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

**იონა ვაკელი.** ახალი პოემა „**ევროპა**“.

ყოველ საღ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება, სურვილები. ადამიანი თავისი მისწრაფებით განკერძოებულად კი არა სდგას, არამედ უერთდება ამა თუ იმ ჯგუფს, კლასს, წოდებას. ამის გამო პირად მისწრაფებასა და სურვილებშიაც კი კლასის, წოდების ზრახვანი გამოსჭვივიან.

პოეზია არის ანარეკლი კლასობრივი სულისკვეთებისა, კლასობრივ ზრახვათა.

რადგანაც ცხოვრებაში გაბატონებული და ძალაუფლებით აღჭურვილი კლასი თავის მიზნებს უმორჩილებს ყოველისფერს, ამიტომაც ყოველ განსაზღვრულ დროს პოეზია ემსახურება გაბატონებული კლასის მიზნებს და გამოსახავს ამ კლასის რთულ მეობას.

აიღეთ პოეზია ფეოდალური ხანისა და პოეზია ბურჟუაზიისა,—სულ სხვადასხვა არის მარტო ფორმით კი არა, შინაარსითაც.

ის აზრი, თითქოს იცვლებოდეს მხოლოდ ფორმა ხელოვნებისა და არა შინაარსი, სრულებით შემცდარია: ყოველ კლასსა აქვს თავისი ფორმა და თავისი შინაარსი.

აიღეთ სასიყვარულო მოტივი ფეოდალური პოეზიისა და ბურჟუაზიულისა. განა აქ ერთი და იგივე შინაარსია? რა ვუყოთ, რომ იქაც სიყვარულია და აქაც.

საქმე იმაშია, რომ სულ სხვა არის ფეოდალური პოეზიის სიყვარული, სულ სხვაა სიყვარული ბურჟუაზიული პოეზიისა.

დღეს ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია. ცხოვრებაში ის გაბატონდა. ცხადია, მან უნდა დაუმორჩილოს თავის მიზნებს პოეზიაც; პოეზია უნდა შეიქნეს პროლეტარიატის ზრახვათა და მასწრაფებათა გამომსახველი. ეს უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც ბუნებრივად და არა ძალდატანებით, მუშტით, როგორც ბევ სა ჰგონია ჩვენში.

ერთბაშად, დაკვრის წესით პროლეტარული პოეზიის შექმნა შეუძლებელია,—ამას უნდა დრო და პროლეტარიატის გონებრივად ამაღლება და დაწინაურება.

ხელოვნების შესაქმნელად არა კმარა მარ ო ძალა-უფლებით გაბატონება ამა თუ იმ კლასისა,—საჭიროა გონებით გაბატონებაც.

დღევანდელი დრო წარმოადგენს გარდამავალ ხანას. ასეთს ხანაში დიდი მიღწევები ხელოვნების ახალ გზებზე შეუძლებელია; ასეთს ხანას ახასიათებს მხოლოდ ძიება და ამგვარი ძიება ახალი შინაარსისა და ახალი ფორმისა ჩვენში საკმაოდ მძლავრად სჩქეფს

ძველი ფორმების უარყოფა ჩვენში ხშირად პოეზიის უარყოფას უდრის. ხშირად შეხვდებით ისეთ ფორმას, სადაც არ მოიპოვება არავითარი ნასახი მშვენიერებისა და უხეიროდ აკიბული კორესპონდენცია ახალი ძიების პოეზიად საღდება.

რუსეთში განსაკუთრებით ორიგინალურია პოეტი მაიაკოვსკი ახალი ფორმისა და შინაარსის ძიებაში იმის უკანასკნელ ლექსებში სრულებით უარყოფილია ძველი ფორმები, იმისი ლექსები რევოლუციისა სრული განადგურებაა ძველი ლექსთა წყობის კანონებისა; მაგრამ შიგ დაცულია ერთი რამ—მშვენიერება; იქ არის რიტმი ცეცხლისა და ქარიშხალის მელოდია, უაღრესი დინამიურობა და შინაგანი სილამაზე.

ასეთს გზას უნდა დაადგნენ ჩვენი პროლეტარული მგოსნებიც. მე არ ვიზიარებ იმ დებულებას, რომ ძველი ფორმები მაინცა და მაინც სრულებით უნდა განიდევნოს: სანამ არ არის მონახული უკეთესი, ძველი ფორმებიც გამოსადეგია; ხოლო ახალის მაძიებელს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ამ ახალში მშვენიერება და ჩვენი დროის ტემპი, დინამიურობა, გრიგალისნაირი რღვევა ჩაქსოვილი უნდა იყოს ერთმანეთში.

უკანასკნელ დროს ჩვენში ბევრჯერ შეხვდებით ისეთს ლექსებსა და პოემებს, სადაც არის ძიება ახალისა, მაგრამ არავითარი პოეზია არ არის შიგ.

იონა ვაკელის „ევროპა“ ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს. ავტორი ეძებს ახალ ფორმას, ახალ შინაარსს. მაგრამ ამ ძიების დროს მას ხელთ უპყრია მშვენიერების ყავარჯენი და არსად არ ავიწყდება, რომ ყოველივე ახალი იმდენად არის მისაღები, რამდენადაც შიგ პოეზია არის.

იონა ვაკელი ეკუთვნის პროლეტარული პოეტების წრეს. მისი მიზანი პროლეტარიატის მიზანია, მისი მისწრაფება—პროლეტარიატის მისწრაფება.

ახალს ქვეყანაში მას უნდა შევიდეს ახალი სიტყვით, ახალი ფორმით; ის სულ ახალგაზრდა მგოსანია, რევოლუციის ტალღებში წარმოშობილი, მაგრამ მტკიცედ, გაბედულად და იმედიანად მიდის წინ. როდესაც შეადარებთ იმის ახალ პოემასა და ძველ ნაწერებს, დარწმუნდებით, რომ იონა ვაკელი გაიზარდა, ბევრი ნაკლი, რომელიც წინად ემჩნეოდა, მოიშორა; ლექსი უფრო გამართულია და დაწმენდილი, სიტყვა დახვეწილი და სუფთა.

ახალს პოემაში პოეტი ცდილობს მოგვცეს თანამედროვე ევროპის სურათი. თემა მეტის მეტად რთულია და ძნელი; ჯერ-ჯერობით ისეთი ახალგაზრდა მგოსანი, როგორიც იონა ვაკელია, ასეთს თემას ვერ დაჰრევს ხელს და ვერ დასძლევს.

მგონ ა ვირგილიუსს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: თუ ძალღონე არ გასწვდა, სურვილი მაინც საქებარიაო.

იონა ვაკელის განზრახვაც საქებარია, რადგანაც მისი პოემის ზოგიერთი ადგილი ამტკიცებს, რომ პოეტში არის შესაძლებლობა დიდი ტვირთის ზიდვისა, თუ კი ამ შესაძლებლობას ის ხელს შეუწყობს და განავითარებს.

პარიზის კომუნის დასურათება ცოტა მკრთალი გამოვიდა, ხოლო კარგია ბანკირის ცოლი, რომლის

გული სევდებით  
გაბასრულია,  
რომ ეს ქვეყანა  
რჩება სრულიად  
ბრბოს შავსისხლიანს,  
ჩაყანგულ მონებს.

საუცხოვოა ევროპის კოლონიალური პოლიტიკა და ბურჟუაზიის სურათი.

ევროპის ბურჟუაზია წურბელასავით სისხლსა სწოვს ახალშენებს, მონობის მუხრუჭებს უჭერს იქაურ ერებს და ამავე დროს თანასწორობა და ხალხთა ერთობა აკერია ენაზე.

ავტორი განსაკუთრებით გამარჯვებულია იქ, სადაც დაპირისპირებულია ფუფუნებაში ჩაფლული ბურჟუაზია და მშიერი ქუჩა

გარეგნულ უდარდელობასა და საქმიანობაში გამოსჭვივის შიში და უიმედობა, რაც ავტორს სისწორითა აქვს ასახული:

ტრიალებს ირგვლივ  
საერთო შიში,  
ყველა უცნაურ  
დაღუპვას ელის,  
გადაგვარება  
მოდგმის და ჯიშის,  
ყოფნა უმწეო  
და საკვირველი.

—

ევროპას სტანჯავს  
უიმედობა.  
მას ეშინია  
შუ ის მგებელის,—  
რომელსაც მოაქვს  
ცეცხლი და წვიმა,  
რომელსაც მოაქვს  
მეხი და ქარი.

ავტორის რწმენაა შემდეგი: ბურჟუაზიული ევროპა ჩიხში მოექცა და მისი დაღუპვა აუცილებელია და ბურჟუაზიის ალაგს დაიკავებს მშრომელი ხალხი.

ალაგ-ალაგ ავტორს შეჰპარვია მაინც ცუდი ქართული: გვ. 7—„ბედუინები სწყევლის, აგინებს“ გვ. 12—„გმირები—ენთება“; გვ. 15—„ესენი ადგენს ჩვენ ქვეყნის გევმებს“; გვ. 48—„მუშებს მე შენს უფრო ვიცავ“, გვ. 54—„აი მაქ გდია“.

გ. ასლსპირელი

# კაენი და აბელი

დრამატიული პოემა

(აზრი ნასესხებია)

I

განთიადის სხივი დაკრთის,
წყვდიადს სული ეპარება;
მზე ამოდის მანათობლათ,
მთვარე ღრუბელს ეფარება
აქ სამოთხე გადაშლილა,
თვალს იტაცებს, გულს ახარებს;
იქ ბოროტი სული დაძრწის
და ქვეყანას დაჰხარხარებს.
სამოთხისა მახლობლად
განწირული ადამ, ევა
ლოცულობენ, რომ ასცილდეთ
უფლის რისხვა და მის წყევა.
მათთან ერთად ცრემლსა ღვრიან
ზილა, ადა და აბელი,
ყველას ერთად სასოებით
აუპყრია ცისკენ ხელი.
მხოლოდ კაენ არ ლოცულობს,
გულს უქენჯნის შავ-ფიქრთ გროვა,
თითქოს თავზე დასწოლია
მთლად სამყაროს ტანჯვა-გლოვა.
მას ადამი ეუბნება:
„შვილო კაენ, გამიგონე,
შავ ფიქრებს რათ შეუპყრიხარ,
ნუ თუ არ გაქვს ლოცვის ღონე?
ჩვენი ცრემლი ზეცას ადის,
უფალსა ვთხოვთ მოტევებას;
შენც ილოცე, ჩემო შვილო,
და იცოდე, იგრძნობ შვებას“

**კ ენი**

მე არრა მაქვს სალო კავი,
ლოცვა წყლულს ვერ გამიმრთელებს.
სულ სხვა გრძნობა გულს მიშხამავს,
ვერ აღვაპყრობ ცისკენ ხელებს.

**ევა**

არ არის კარგი, ჩემო შვილო,
რომ შავ-ფიქრებს ემონები;
ჩვენ ყველანი ცოდვილნი ვართ,
ღვთის მორჩილი და მონები.
(ლოცვას ათავებ ნ და კაენის გარდა ყვე-
ლანი გადიან.)

**კაენი** (მარტო რჩება),

დე, ვისაც სურს მონა იყოს.
მე არა მსურს დავრჩე მონად ..
ჩემს სურვილებს ფრთებს შევასხამ,
გადავაქცევ ვარდის კონად.
ცხოვრება მე შავადა მწამს,
ის შხამს მასმევს, გულს მიკოდავს
და უფალი სასტიკად სჯის
მცირე რამით ვინც შესცოდავს.
მამა-ჩემმა ხილი ჭამა
ანაკრძალი... იგრძნო შვება...
და, ოჰ, ღმერთო ეს სასჯელი
მასთან ერთად ჩვენც რათ გვხდება?
ოხ, მარადის ოფლით ჩემით
უნდა ვპოვო პური ჩემი
და მიწასა გულს ულბობდეს
ცრემლი ჩემგან დანაცემი.
იმუშავე! სჩიჩქნე მიწა!
დღე მარადს იმუშავე!
ოფლი ღვარე, სჩეხე ხე-ტყე,
მთლად სიცოცხლე გაიშავე
და ჯილდოთ კი ლუკმა-პური!
ფუ, ამ გვარსა სიცოცხლესა...
არა, არ მსურს, რომ მარადის
გაისმოდეს ჩემგან კვნესა!
თუ უფალმა მამა ჩემი
სამოთხიდან გამოდევნა,—
მან შესცოდა, ჩვენ რათ გვტანჯავს,
რა შევცოდეთ ამოდენა?...
ოჰ, სამყაროვ, შე პირ-ქუშო,
ოჰ, ბუნებავ, უკულმართო!
ოჰ, ცხოვრებავ, მწვალებელო,
შე გულვზავო, შე ჯალათო!..

**აბელი** (შემოდის)

(კაენს დააკვირდება)

შენს თვალებში ცეცხლი მოსჩანს,
შემოგყურებ, გხედავ ტანჯულს;
რაღაც სევდა მოგწოლია
და გიქენჯნის მარად მაგ გულს.
ძველებურად აღარ ბრწყინავს
შენი სა ე მადლიანი;
მითხარ, ძმაო, რით გიშველო,
რათ ხარ ასე დარდიანი?

**კაენი** (მკაცრად).

შენ ვეროდეს ვერ გაიგებ,
მე რისათვის ვიტანჯები...
და კარგს იზავ, შველის ნაცვლად,
თუ თავიდან მომცილდები.

**აბელი**

კარგი, წავალ... ჯერ კი მსხვერპლი
ღმერთს შევწიროთ, ყველას მფარველს,
ის ყოველსა შე ვრდომებს
და გაუჩენს თვის საფარველს.

**კაენი**

შენ შესწირე... მე არა მსურს.
ღმერთი მაინც შენა გწყალობს!

**აბელი**

მე კი არა... ჩვენ ორივეს...
ის ერთგვარად ყველას გვბრალობს.

**კაენი**

უმეტესად უფრო შენა.
შენ შესწირე, მე არა მსურს...
მე სულ არც კი ვსაჭიროებ
ღვთის ვედრებას და სამსახურს.

**აბელი**

როგორც უფროსს, პირველობა
შენ გეკუთვნის, შენ გდებს ვალსა;
პირველად შენ შესწირევი,
გევედრები უფროს ძმასა.

**კაენი** (ნაღვლიანად).

არა, არა! მწამს არარა,
არც უფროსობა მჭირია;
ჩემთვის ამ სოფლად ცხოვრება,
სევდა-ნაღველი, ჭირია.
შემერყა სულის მშვიდობა,
ვერსად ვპოულობ შვებასა,
დავმონებივარ კაეშანს,
ტანჯვას, ვაგლახს და სნებასა.
იგი მაცდური, რომელმაც
აცდინა ჩვენი მშობელი,
თავიდან არა მშორდება
და მით ვარ ბედის მგმობელი.
ახ, აბელ, წადი, დამეხსენ,
თორემ იცოდე, გჯეროდეს,
რომ შენც დაგიშლი მსხვერპლთ წირვას
და ვერ ილოცებ ვეროდეს.

**აბელი**

ეგ რა სთქვი, ძმაო?! შენ მართლაც
ავი რამ გირყევს სულს და გულს;
ახ, ნეტავ რითი გიწამლო
ძმას, სევდით სავსეს, დადაგულს?!
ევედრე ღმერთსა, შეუნდოს
შენებრივ შეუპოვარსა;
ნუ გამიმწარებ სიცოცხლეს,
ნუ იტყვი მსხვერპლზე უარსა.
ჩვენ ვშრომობთ, მამა ციერი
თავის უხვ კალთას გვაფარებს;
გვაჭმევს, გვასმევს და გვმფარველობს,
გვასიამოვნებს, გვახარებს,
და ნუ თუ არ ვართ მოვალე,
რომ ჩვენ მას მსხვერპლი შევწიროთ
და, როგორც უფალს, ცრემლითა
შევ მუდარნეთ, შევტიროთ?!
მან შექმნა ზღვა და ხმელეთი,
ფრინველნი მისთვის გალობენ;
ნიავნი მისათვის დაჰქრიან,
ქარნი მისათვის გალობენ.—
აგერ დღე ნათობს მზიანი,
კაშკაშებს ათას ფერადა;
სვეტი ნათლისა შუქსა ჰფენს
გულისა ასაძგერათა.
აგერ დაღამდა, სუდარა
მიმოეფინა არესა

და კვლავ ნათელი წაერთო,
დღეს მტირალს, მგლოვიარესა.
ღამე დღეს ათევს. დღე ღამეს,
იცვლება წუთი სოფელი...
ღმერთია ყოვლის შემქმნელი,
ღმე ́რთი მარადის მყოფელი.
არა, ნუ იტყვი უარსა,
ძმაო, მას მსხვერპლი შევწიროთ
და ლოცვით, სასოებითა
შევე უდაროთ, შევტიროთ.

**კაენი** (ჩობეზრებული)
კვლავ შენ შენსას გაიძახი,
თავს მაბეზრებ, არ მეშვები...
მითხარი, რა გავაკეთოთ,
რადგანა მთხოვ, გეთანხმები.

**აბელი**
მიდექ-მოდექ, საკურთხევლად
აირჩიე შენ ადგილი.

**კაენი**
შენ მოსძებნე ორივესთვის
და ვიქნები ყმაყოფილი.
ყველაფერი ერთ გვარად მჩანს,
ავს კარგისგან ველარ ვარჩევ
და თვით ჩემსა არსებობას
შევაჩერებ და მარად ვწყევ.
ძმაო, მეტად ნუ გამტანჯავ,
გამოსძებნე ორივესთვის...

**აბელი**
მოვალე ხარ, რომ ადგილი,
გამოსძებნო შენვე შენთვის.

**კაენი**
(ერთ მაღლობ ადგილას გამონახავს).
მე ჩემთვისინ ამას ვარჩევ.

**აბელი**
უფრო კარგი... გიხრი მე თავს...
უფროსი ხარ და მაღლობზე,
რომ შესწირო, ვინ დაგძრახავს?
(თითონაც ირჩევს ერთ დაბლობ ადგილს)
აი მე კი ამას ვარჩევ...
ძმაო, საქმეს ხელი მივყოთ.

**კაენი**
სამსხვერპლოდ რომ არა გვაქვს-რა,
აბა მითხარი, რა ვუყოთ?

**აბელი**
ფარაში მყავს ორი კრავი,
საამო და მშვენიერი;
მათ პატრონი მათის ყოლით
არის მეტად ბედნიერი.
(ფარიდან მოიყვანს ორ კრავს).
შეხედე რა მსუქნებია,
როგორ ნაზად ჰხრიან ქედსა,
როგორ ლულვენ შავსა თვალებს,
საამოს და სასურველსა.
მე მწყემსი ვარ ტანჯვით ვათევ
ცხვრებთან ერთად, ტანჯულ ღამეს
და თვით ცხვრები შეადგენენ
ჩემს შვებას და ჩემს სიამეს.
უბედური მწყემსისაგან
ღმერთი ორ კრავს დასჯერდება;
და ვიცი, რომ ეს ზვარაკი
მე დიდ მადლ თ ჩამეთვლება.

**კაენი**
ცხვარნი არ მყავს... მწყემსი არ ვარ...
მთესველი ვარ... ნაყოფი მაქვს
და რომ ნაყოფი შევსწირო,
ვგონებ ღმერთი არ შემრისხავს.
აბა, შეხე რა მწიფეა
ეს ნაყოფი მშვენიერი;
მათ პატრონი, ამ სიმდიდრით.
არის მეტად ბ დნიერი.
მე შევწირავ ამ ნაყოფებს
უფალს, ყოვლის შემოქმედსა
და რომ მადლად ჩამეთვლება,
არა ვკარგავ მე იმედსა.
(ორივენი თავთავიანთ საკურთხეველზე ცეცხლს ანთებენ).

**აბელი**
ძმაო, მსხვერპლის შეწირვამდე,
გვმართებს ლოცვა, ღვთის ვედრება;
ლოცვა რაც რომ მხურვალეა,
მით უფრორე ცასა სწვდება.
როგორც უფროსს, გევედრები
შენ ილოცე ჯერ პირველად
და მერე მე... ვიცი უარს
აღარ მეტყვი შენ ამ ხელად!..

**კაენი**
მე ლოცვა არ შემიძლიან...
მაგრამ რადგან მევედრები,
ჯერ პირველად შენ ილოცე,
მეც შენს მაგალითს ავყვები.

**აბელი**
(საკურთხეველთან დაიჩოქებს და ლოცულობს).
ღმერთო, ყოვლის შემომქმედო,
ცის და ქვეყნის მფარველ-მ ყველო;
ღმერთო, ყოვლის მძლეთა-მძლეო,
და მარადის სასურველო,—
შეისმინე ჩემი ლოცვა,
შეისმინე ჩემი აჯა,
და თუ ღირს ვარ, დე ნუ ამცდეს
შენი რისხვა და კვლავ ტანჯვა.
მამა ჩემმა თუმცა გცოდა,
ჰამა ხილი აკრძალული
და ამიტომ მარად ოხრავს,
არ შორდება თვალზე ლული,—
ჩვენ ნუ დაგვსჯი იმის ნაცვლად,
გადმოგვხედე მოწყალებით;
ნუ აიღებ ჩვენზე ხელსა
და დიდებით ავივსებით.
მიიღევი ღარიბ მწყემსის
მსხვერპლი ესე ღარიბული...
დიადია მცირე მსხვერპლიც
წმინდის გულით შეწირული.
ყველაფერიც ხომ მცირეა
შენთან, ყოვლად დიდებულო!
შემეწიე მე, შენს მონას,
დიდებაო, ქვეყნის გულო!

**კაენი**
(ქედ-უხრელად სდგას საკუ-თხევლის წ ნ).
სულო, ძალის მქონებელო,
იეღოვად წოდებულო,
ყველაფრისა დამძლეველო
და ყველასაგან შენ ქებულო,
შეისმ ნე რასაც გეტყვი:
მსხვერპლს ვწირავ ამ საკურთხეველს
და პირის-პირ შემოგყურებ
შენ ძლიერს და მძლეთა—მძლეველს.
თუ რომ ჩემი წმინდა ლოცვა
აღძრავს შენში სათნოებას,
მწამხარ მაშინ ღმერთი-ღმერთად
და მოგიძღვნი ქებათ-ქებას!..
სულო, ორი მომაკვდავი
გწირავს ზვარაკს, გწირავს მსხვეპლსა
და მტკიცეთ მწამს, რომ სამართლით
აღმართავ შენ ძლიერ ხელსა.
ერთმა კრავნი შემოგწირა,
დაანთხია სისხლი მიწას
და მეორემ კი ნაყოფი,—
ახსენ მტკიცედ თუ ვინ გიცავს.
უკეთუ შენ სისხლი გიყვარს,
მას შველოდე, მფარველობდე
და მასთან თუ ნაყოფი გწამს
მეც მიშველე, მეც არ მგმობდე.
ეს ნაყოფი მიწამ მომცა,
მზემ დაათბო, დაამწიფა,
წმინდა არის ვით მთის წყარო
და თვით წმინდა ხელმა ჰკრიფა.
თუ ეს მსხვერპლი კეთილია
და შენცა ხარ მტკიცე, წმინდა,—
მაშინ, მითხარ, შენს წინაშე
მუხლის მოყრა რაღათ მინდა?!—
მსხვერპლს ისედაც შეიწირავ...
და თუ არ ხარ კმაყოფილი,—
აქვე მომკალ და გამსრისე
პირ-ქუში და ღვთის უგბილი
და თუ რომ ხარ კმაყოფილი,
შემიცოდე, შემიბრალე,
მექმენ ყველგან მფარველათა
და ყოველგან მითვალთვალე!
შეიძლება ბოროტი ვარ,
მაინც გმართებს შემიბრალო:
ყველაფერი შენგან ხდება,
შენგან, ქვეყნის ძალთა-ძალო!
სიკეთეს და ბოროტებას
თვით შენ აძლევ დასაბამსა...
ფუტკარს თაფლსა შენ ანიჭებ,
შენვე აძლევ ნესტარ-შხამსა!..
თუ შენა ხარ სუყველაფრის
დასაბამი, დასაწყისი,
სამართალი გამიჩინე,
მთხოვნელი ვარ შენგან მისი!..
(ამ ლოცვის დროს აბელის საკურთხეველზე ცეცხლი ძლიერდება და ალი ცამდე ადის. კაენის საკურთხეველი ირყევა და ნაყოფი მთლად ძირს მიწაზე ცვივა. აბელი განცვიფრებულია, კაენს გესლი მოერევა და საჴ ხეზე ცივ ოფლს დაასხავს).

**აბელი** (კაენს).
ძმაო, ძმაო! ეს რა ჰქმენი?
ღმერთს შესცოდე, შე ბედ-კრულო!
განარისხე შენის ლოცვით,
შე ამაყო და დიდგულო!
კვალად ქედი მოიხარე,
შესთხოვე მოტევება;
ჩქარა, ნულარ აგვიანებ,
მიუძღვენ მას ქებათ ქება!..
**კაენი**
ნეტავ რითი განვარისხე,
მე უფალი მძლეთა მძლევი?..
არ გადუხვევ მე ჩემს სიტყვას...
რა მაქვს უკან დასახევი?!.
დე იჯავროს მეუფებამ:
არც დამცხება არც შემცივა!
**აბელი**
აბა შეხე საკურთხეველს?
ნაყოფი მთლად ძირსა ცვივა.
**კაენი**
დე დაცვივდეს... მიწას მშობელს
ნაადრევად უბრუნდება...
ვინცა შობა, ვინც გაზარდა,
ისევ იმას უერთდება.
ეგ ნაყოფი სხვა ნაყოფზე
უფრო ადრე დამწიფდება,
არე-მარეს გაახარებს
და საამოთ აყვავდება.
თურმე ლეში უკრო უყვართ,
სისხლი თვით ღმერთს გულს უხარებს;
ცეცხლი ალი ცამდე ადის,
თვალს იტაცებს და ვარვარებს!..
ამის შემდეგ აღარა ღირს
არც სიცოცხლე, აღარც შვება;
დრო გაივლის, ეს გულ-მკერდი
შხამ-ნაღველით ამევსება!
ათი ათას ნაჭრად იქეც,
გულო ჩემო, დადაგულო!
დაიქეც და თავს დამატყდი,
ნათლის სვეტო, დაკარგულო!
არ მოვძებნი სამართალსა,
არ გავარჩევ კარგს და კეთილს, —
სიკვდილამდე დავიხსომებ
ამ სასჯელს და ამ გაკვეთილს!..
**აბელი**
ძმაო კაენ! მაგ ჯავრობას
დაეხსენ და გამიგონე:
სხვა ადგილი გამოსძებნე,
საკურთხევლად, სხვა ილონე! —
**კაენი**
არა მაქვს-რა სალოცავი,
არა მაქვს რა საზვარაკო...
დამეხსენ არ მაქნევინო
საქმე ზეცის საარაკო!..
**აბელი**
გამაგონე გულში რა გაქვს,
რა საზარელ რასმე ლამობ?..
**კაენ**
თუ ეხლავ არ დაჩუმდები,
თვით შენ საკურთხეველს დავგმობ.
**აბელი** (შეშინებული).
ოჰ, ეგ რა სთქვი, რა მასმინე?
ვაი ჩემსა დამდგარ ყურებს!..
მითხარ, ასე გარეწარსა
ღმერთი ვითარ გიმსახურებს?!
საკურთხევლად აგერ ჩემი
საკურთხევი მოიხმარე;
იქ შეწირე მო ნაყოფი,
მის წინ ქედი მოიხარე.
**კაენი**
დავამსხვრევ შენ საკურთხეველს,
იცოდე, თუ არ მეხსნები...
(მიიწევს საკურთხევლის დასამსხვრევათ)
**აბელი**
(არ უშვებს საკურთხეველთან).
ილოცე, ძმავ, ოჰ, ილოცე...
ეგ რა მოგდის, რაებს შვრები?!.
(კაენი გაცეცხლებული მიიწევს კვალად საკურთხევლისაკენ, აბელი კვალად გადაეღობება და ემუდარება, რომ არ დაამსხვრიოს).
**კაენი**
დე დაემხოს ეს მონობის
ბრიყვული რამ მოგონება;
დე დაემხოს ეს სიცრუის
ხაფანგი და ანგარება!
ცას და ხმელეთს ვკრულავ, ვწყევლი,
ვსთვლი ჩემდამი დამნაშავეთ;
ვისაც ძალ-გიძთ, რო გამკიცხეთ,
გამამტყუნეთ, გამაშავეთ!
აბელ, აბელ! ჩამომეცა...
მუშტში შევკრავ მთლად მთას და
ველს...
**აბელი** (არ უშვებს)
არ გაგიშვებ... შენ ნამდვილად
დალეწავ ჩემს საკურთხეველს.
**კაენი**
მსურს დაემხოს საძაგლობა!
**აბელი**
არ გაგიშვებ არას გზითა.
**კაენი**
გთხოვ გამიშვა...
**აბელი**
არ გაგიშვებ!
**კაენი**
გულს ნუ მიმღვრევ, გთხოვ, ბრაზითა!
**აბელი**
გონს მოდი, ძმავ, რაებს სჩადი?
**კაენი**
გამიშვი, თუ თავი გიყვარს!
**აბელი**
თავი მიყვარს, მაგრამ უფრო
სგვაგან ვეძებ თავ-შესაფარს!
ღმერთი უფრო ძლიერ მიყვარს,
ვიდრე თვითონ ჩემი თავი...
ის არს ჩემი წმინდათ-წმინდა,
სალოცავი, საესავი!
**კაენი**
მაშ არ მიშვებ?
**აბელი**
არა, არა!
**კაენი**
ბრაზი მაღრჩობს... მთლად ვხელდები...
**აბელი**
არ გაგიშვებ...
**კაენი**
ოჰ, თავხედო!
მაშ შენ მე წინ მეღობები?!
(თავს დაუხლის საკურთხევლის თავზე და გაუპობს. აბელს თავი ან სისხლი თქრიალით გადმოსდის. კაენი გარინდებული თვალებს აბრიალებს თითონაც არ იცის რა ჩაიდინა. დიდი სიჩუმეა)
**აბელი**
(ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვა)
კაენ... ძმაო, მომკალ განა?
ოჰ, გულს მიწვავს... ცეცხლი... ცხელი..
უფალსა ვთხოვ გაპატიოს...
შემირიგდი... მომე ხელი!
(კვდება)
**კაენი**
(დიდ ხანს გაშტერებული დგას მერე ჩელზე დაიხედავს და ნახავს რომ სისხლიანია).
ხელი? ხელი? ჩემი ხელი?
რათ მაქვს ასე სისხლიანი?
ასე მწარეთ რათ ვიტანჯვი
ბედ-კრული და შავ-დღიანი?!
თითქოს სადღაც რაღაც მოხდა,
გული დამწვეს, დამიფორტნეს—
და სიცოცხლე ისეც მოკლე,
დღეთ მოსწყვიტეს, შემიმოკლეს!..
(და ნახავს აბელს და საზარლად შეჰკივლებს).
აბელ, აბელ, ჩემო ძმაო!
ნუ თუ გძინავს საუკუნოდ
და ქვეყანას ნორჩი გული
ვეღარ უნდა და უბრუნოთ?!
აბელ, აბელ, შენ ნაზ შუბლზე
სისხლი დის თუ დილის ცვარი?
გამაგონე კვლავ შენი ხმა
მოცხიბლავი, ნაზ-ნარნარი!..
ახ, მე მოგკალ, მე, უგნურმა!
მე ჩაგიქრე ნორჩი სახე
და სამყაროს გარს მოვფინე
ტირილი და სივაგლახე!
ძმაო, რათ არ დამმორჩილდი,
უგუნურს და გახელებულს...
ძმაო, ეხლა რა ვუშველო
დადუმებულ ემაგ შენს გულს!
(თავზე გულს დააყრდნობს და ტირის).
განთიადი ოქროს სხივებს
მიმოაბნევს მთად და ველად;
ია-ვარდი გადიშლება
სასიამოდ, სასურველად;
ტყის ფოთოლი ამწვანდება,
დაუკოცნის პირს ნიავსა;
ზღვა, ცის სარკე, მიიზიდავს
თვის ტალღებზე მსუბუქ ნავსა;
ირმი მთის ნიკლთან ავა,
შველი ყელ-ყურს მოიღერებს;
გედი სატრფოს დამკარგავი,
იტირებს და თან იმღერებს;
ცა-ქვეყანა შეთანხმებით
გადააბმენ მხარი მხარსა
აყვავდება მთლად სამყარო,
ბუნება კვლავ გაშლის ფრთასა,—
შენ იდები სამარეში,
შორად მყოფი ქვეყნის გულსა
და მე მარად უნდა ვტირდე
ჩემს ძმას... ჩემგან დაკარგულსა!

**ბ. ახოსპირელი** *)

*) გარდაიცვალა 1921 წ. ეს დაუბეჭდავი ნაწარმოები გადმოგვცა პოეტმა ი. გრიშაშვილმა. იბეჭდება უცვლელად.

ვასილ ბარნოვი

# თამარის შესახებ

კალმით დახატვა გვსურს თამარისა, რას იტყვით.

მეთორმეტე საუკუნის ეპოპეაში მკვეთრათ არის აჩენილი ქართველთ ერის საარსებო ძალთა სიმტკიცე და უნარი განვითარების. თამარის პიროვნება უძლიერესია აქ, ზღაპართა სამზღვრამდინ მიტანილი სინამდვილე. ქართველთა სულის განსახება არის ეს ნაზი ძლიერება და მშვენებული. საუკუნეთა გადმოლმა მომხდარ ამბების მაჩვენებელი ნიშნებიც მოსჩანს მის ცხოერებაში.

ბუნებრივია თამარისთვის მომავლის ხედვა: მის სახეს აეთვისა ქართველთა ქალ—ღმერთი ყამარ, რომლის ბროლის საყუდარი ოქროს ჯინჯილებით იყო გადმოშვებული ცის კამარიდან და მაინც არ ეყრდნობოდა დედამიწას. ლოცვის ჟამს თამარ მეფე ჰაერზედ იდგა.

ყამარ—ქალი მფარველ ხატთაგანი იყო საქართველოსი; მის ყველა ნაწილში ჰქონდა მას ნიში, სად თაყვანს სცემდნენ და შესწირვიდნენ. ზე-ქალი თამარ ბედნიერებად მოევლინა მთელ ერს და ყამარივით დაივანა ქართველთ ტომის ყველა თემში: მის ცახე-დარბაზს საქართველოში ყველგან გვიჩვენებენ; მისი უხრწნელი გვამი ოქროს კუბოში მწოლარე ქართველთ ქვეყნის ყველა კუთხეში უნახავს უვალმთებში გზა აბნეულ მგზავრს.

ყამარ—თამარის ნიში მხოლოდ ფშავ ხევსურეთში დაუდგრა ახალ სჯულის მძლავრ ზვირთებს საუკუნეთა განმამაკალობაში და მოიტანა ჩვენ დრომდინ ძველისძველ მსოფლმხედველობათა ნაშთი. ამ ღმერთ—ქალს თუ მის განხორციელებას თამარს ბევრი თქმულება დასტრიალებს მთელ საქართველოში. უნდა შეკრებილ—შესწავლილ იქმნეს ისტორიულ საბუთებთან ერთად ეს ზღაპრული მასალა, რომ კალმის წვერით ერთხელ და სამუდამოდ აიხატოს ღირსეულად ეს ზეარსისებური პიროვნობა. ძნელი საქმე მეტად ხვავიანი.

თამარის ჩვეულებრივი სურათი გაქვავებული მეჩვენება, თუმცა ცდილობენ სიცოცხლის სხივი შეანათონ მას. მირჩევნია მის თანამედროვე მქებართაგან ახატული მისი ალალმა:

მას ძოწეულნი ვარდ—გაწეულნი ლაწვნი მწყაზარობენ განბრწყინებულად,—ლაწვნი მწყაზარნი, ამულლაზარნი. დრუნგილის ფიცრად მტკიცედ საფიცრად შუბლი მისი სჩანს შუქნაელვარე. ლაწვთა არესა, შუქნი მთვარისა, ძელნისა ტბანი სდგანან მორევად. ეჰა ინდენნიც შამბნარის სახით რამე, სდგეს მცველად ალალებულად. აგრძელობს ყელი დაუნაყელი, ბროლ—ვარდობს ყელი მჭვრეტელთა შუქმფენი. ატევრებს თმათა სულისა დგამათა ახელებს მნახველთ ლელწამსა ტანად, საროსა ნაქვთად მიმზგავსებულ არს განსაცვიფრებლად. ეჰა ვარდ-გული, ხეედემს რგული, მწყაზარი, ლაღი. სტურფობს მიხედვა: წამწამთა ხვრანი, ვისკენაცა ჰქმნის, ჰყვის ნატირებად. გაძარცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი; ებურნეს მოშლით რიდენი ფასისა თქმად საჭირონი; ჰშვენოდეს შავნი წამწამნი გულისა გასაგმირონი; მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ უხშირონი. ვიშ ჰაერ-პირი მნათობთა დარი, მზე დაუვალი შუქმომფინარი!

ესეთ არს ესე ქართველთა მოწესე, დიდი მსაჯული, სჯულის მამტკიცე; ვითა სამოთხე წყლად წყალი მრწყველი მუნვე მდინარე; სიუხვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი, მდაბალთ მოწყალე; მალალი, დიდი, უკლები მშვიდი, წრფელი, უცრუო და უზაკველი. ვის აქვს მისებრი დამამშვენები ქცევა, გონება?!...

ერთხელაც მოვიხსენე ეს სახე. ეხლა დავსძენ ძველთავე სიტყვას:

მხატვართ ვერ შესძლეს ხატვა სახისა
და სდგანან უქმად მძახნი ახისა!

მაინც ნუ შეუდრკება მხატვარი მის ასახვას: ნაზარეველ ღმერთ—კაცის სახეც არ ჰმორჩილდებოდა ყალამს ბოლოს მაინც შესაძლო შეიქმნა მისი დახატვა.

ვლასქარი

# ფერადი პორთფელები

I.

თუმცა ბატონიშვილი არა ვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს ბატონიშვილური ყოფა-ცხოვრება. მე სულ გაბრაზებული ვარ მამაჩემზე, რომ ის არ იყო ბატონიშვილი და წარმოიდგინეთ არც ზრუნავდა ამაზე.

როგორ არ უნდა გავბრაზდე??

რაღაც ოთხმოცდაათიოდე წელი ქარხანაში გაატარა ჩაქუჩის დაგა-დუგში და მანქანების გრიალში.

მას, მაგალითად, როიალთან ჯდომას თავის მანქანასთან ჯდომა ერჩია, რაც მე მის შემკვიდრეს საზარლად მეჯავრება.

90 წელი ქალაქში და არც ერთი წუთი ავტომობილით... მეკი .. ოხ, ღმერთო, რა მიყვარს გაქანება. აი თუნდაც ზაფხულის საღამოს, ყვითელი პორთფელით ხელში, თავშიშველი, ავტომობილით რუსთველის პროსპექტზე...

„დიდი ვინმე იქნება“. ჩაგესმება... აუწერელია ნეტარება ამ წუთებში...

მამაჩემი რომ ფულს გამომიგზავნიდა წიგნებისთვის და სახლის პატრონისთვის სულ ჩვენს თავისუფლების მოედნელ შოფერებს მიქონდათ...

სახლის ქირა კი—დღესაც „ჩანისიავებულია“, წიგნები?! ხა, ხა, ხა... განა მამაჩემი კითხულობდა აბდლურ ფილოსოფიურ ნაწარმოებს? თუმც „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, მაგრამ ამ მცნებისთვის მე არასოდეს არ მიღალატნია აი თუნდაც მამაჩემს არასოდეს არ ყვარებია ავტომობილი.

ან კიდევ... მე ხომ 15 ფერადი პორთველი მაქვს... ის მსახურებდა და მეკი...

არც ვიცი, თუ ვმსახურობ... დილით მსახური მომადგება: თქვენ გუშინ მწვანე და ყვითელი პორთფელით გახვედით. დღეს რომელს მიბრძანებთ?

—ყავის ფერი, შავი, წითელი... აი ჩემი მუდმივი პასუხი არჩევანზე. არ ვიცი ვინ ვარ, საიდან ან რა?!

არ ვიცი „ნარკომი“ ვარ თუ შიკრიკის შტატის მაძიებელი...

ესკია, რომ ჩემდენი პორთფელი, და ისინიც ფეხმძიმეები „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებათ, პუანკარესაც არ ექნებოდა. ხშირად მხვდებიან ნაცნობები... მეკითხებიან სამსახურის მისამართს, მთხოვენ რეკომენდაციას, მთხოვენ სამსახურს ..

უხარიათ ჩემთან... ნაცნობთან ..

და მე კი ამ დროს მორცხვად ჩავავლებ თვალს ჩემს „უშტატო“ ფორთფელს.

II.

აი თავისუფლების მოედანი... როგორ მორცხვად შემომყურებს ქალაქის ალმასკომის საათი, რომ მე იქ, მის ქვეშ ვერ მოვეწყვე სამსახურში. დღეს ხომ ფული მექნებოდა და გადავრჩებოდი ჩემი დანიშნულის დეპეშების კითხვას და ველირსებოდი ხილვას ეთერისას. დღე ერთია და ათასი დეპეშა მომდის დანიშნულის ქალისგან... რასაკვირველია მის (ჩემი დანიშნულის „პოდრუგებისაგან“: „ეთერავათაა“ — „ეთერს ცოცხალს მოუსწარი“ — „ეთერ სიკვდილის პირასაა“ — „ეთერ კვტება“.

რავქნა?

ასე ჰგონიათ აქ მე ფულებს ვსჭრიდე და ისკი არ იციან, ამდენი დეპეშის ფული ჩემთვის რომ გამოეგზავნათ ხვალ ვისადილებდი. მეც იძულებული ვარ გავაგზავნო წერილი და ამ განზრახვით მიხდება დავჯდე მაგიდასთან.

უკვე ოთახში ვარ... „ჩემო ეთერ — ნუხა რავად — ეთერ კარგათ იყავ!!

„ეთერ ცოცხალს მოგისწრებ!

„ეთერ! ნუ ხარ სიკვტილის პირად

„ეთერ! ნუ კვეტები... მე წინაალმდეგი ვარ. შენი ევგენ“.

აი მარკის ფულიც ვხსნი პორთფელს და ვეძახი მსახურს. პორთველში უფულობა — გაზეთები.

ჯიბეში თამბაქოს ფხვინილი და ცირკის კონტრომარკები.

III.

აი კარების კაკუნიც და ჩემს ოთახში შემოიზმარება სახლის პატრონი ოთახის ქირისთვის.

ეს იმ დროს როცა მე სამი მინა ჩავამტვრიე ფანჯარაში ბუზების ჭერის დროს.

— თქვენ ჩამაბარებთ 40 მანეთს დღესვე, მინას ჩასვამთ, წინაალმდეგ შემთხვევაში...

— ჩამსვამ?? დავასწარი მე და დაათავა მან.

რა ვქნა?! იძულებული ვარ ბედს არ დავემდურო.

ოხ! ოხ! ნეტავ რათ არ ვარ „ნარკომი“ რომ ავიღო მონოპოლია ავტომობილზე, ეტლებზე, მატარებლებზე (რბილცოლიან კუპეებში, რასაკვირველია ეთერისაკენ წასვლის დროს დამჭირდება) და ყოველ მსწრაფლ მავალ მანქანებზე.

— ვუყო კონფისკაცია და გადმოვიტანო ჩემს ოთახში სახელმწიფო ბანკი რ. ს. ფ. ს. რ-ის — აგრეთვე ყველა ბანკები საფინგანები, და მათი ნარკომები, ბუჰგალტერებად, რათა სწორი იქნეს ანგარიში შესავალ-შემოსავალ-გასავალისა. მაგრამ ეჰ! არ სტყუის საბჭოთა ხელისუფლება, რომ მე არ მაძლევს კურიერის ადგილს საფანგონში. არ სტყუის შრომის ბირჟა, რომ მომაყოლა ჩისტკაში.

რა ვქნა: ოთახის ქირა — მინა ჩასვი ეთერს ცოცხალს მოუსწარი!

იძულებული ვარ ჩემს ოთახში მოვახდინო შემცირება ჩემი თავის და ჩემი ფერადი პორთფელების, არ ღირს სხვა გვარად, რადგან ყველგან შემცირებაა. მერე ვინ გადურჩება ჩვენ სახლის მმართველს? დიდი კაცია. მართველიც და მეეზოვეც ეგ არის — ეხ, მორჩა. მშვიდობით ბირჟავ. ჩემო მმართველო — მეეზოვევ და ფერადო პორთფელებო, შოფერებო, ბინებო და ავტომობილებო. „ეთერ მე გაგასწარი. გელი უსათუოდ“.

**კონსტანციუს ერი**

# ლეგენდები

ციკლიდან: **„ფიფქიფები მიდის“**.

გაზაფხულდა.
ოქროსფერი მზის სხივთა კონა,
ლურჯად მოლაღანე ველ-კორდებს ჩაეკონა.
აბზინდა ყველაფერი.
ამზიურდა სამყარო, ჭრელი და მრავალფერი.
მე მიტაცებს ოცნება კვიმატი თვალების და ჩემდა უნებურად მაგონდება ცეკვა ალების.
მბოჭავს ფიქრთა ჯარი შორეული,
და შენი ამაყი სახე მეჩვენება: უცხო, გარეული.
შენა სწყრები,
შენ გაშინებს ჩემი გვარის ლეგენდა!..
იგი შეთხზა უვიცმა, მცონარა, რეგვენმა.
მე ცივი ვარ ბუნებით, უდაბნოში მწირი მიუდგომელი.
მაგრამ ძლიერი ვიცი სიყვარული ამაყ თვალების და უცდომელი.
ლეგენდები?..
ნუ შეგაშინებს!..
იგინი ბევრია ჩემზედ შეთხზული, მაგრამ ესენი მე მხოლოდ მაცინებს.
შენ მეკითხები:
— რამ დაჰბადა ჩემში სიყვარული?..
შენი მაგია,
ახალი სული შემოქმედებისთვის,
ახალი რითმის ასაკინძად.
იგი აქამდის ჩემს გულში იყო დაფარული.
მე ძუნწი ვარ,
იშვიათად მიყვარს კალამი.
და პირველი ყოველთვის შენ გეკუთვნის მზიური სალამი.
სიყალბე?..
კიდევ ლეგინდები?..
ნუ გეშინიან.
იგინი გიჟი ქალაქის ავზნიანი ქუჩის დები არიან.
ბოროტი ენები.
მათ ახრჩობთ შურის სენები.
კოშმარები.
დაჯირჯვებული სახეები.
ქუჩის ღრიანცელი.
ბალები.
არლნის ჰუმუტუნი.
აი ლეგენდები!..
ყალბი ლეგენდები.

კ[illegible]იუს ბელი

# ურიცხვი ქვეყნები რომელნიც იღუპებოდენ მუდამ და ყველა ღუპავდა ერთ ქვეყანას

## შესავალი.

რამდენჯერ უთქვამთ მეგობრებს ჩემთვის, რომ მუდამ ვკვდებით და მუდამ ვიბადებით.
მე მათ ვუცქეროდი ისე როგორც ახალ მუმიებსა.
ერთხელ მინდოდა სიცოცხლე მაგრამ მომაგონდა რომ სიკვდილი ადვილია.
მე მუდამ ასე ვუცქეროდი ქვეყანას.
იქ არავინ იყო გარდა ქვეყნის.
მაგრამ ერთხელ რო ესაც მოვინდომე სიკვდილი, მივხვდი, რომ ძნელი იყო მისი მოსვლა. რომ:
სიკვდილი ძლიერ ძნელია.
ისევ მინდოდა ფიქრი ორივეზე და გადავწყვიტე თვითმკვლელობა.
თვითმკვლელობა ჩუმად.
თვითმკვლელობა ყველგან.
თვითმკვლელობა არსად.
სიჩუმეში ვიგრძენ სიკვდილი.
ვიგრძენ რომ აღარ ვარ და შევხედე ჩემ თავს.
ვიგრძენ კვდებოდა ქვეყანა.
ვიგრძენ: არავინ იცოდა ეს და რომ მე მარტო ვარ სიკვდილით.
გადავწყვიტე: სიცილი და მკვლელობა.
გასახარი იყო უთუოდ: მე მარტო ვარ.
მე ერთი ქვეყანა ვარ
ქვეყანა ვა‑ მე.

**მე ვუცქერი სახსაფლაოს. ჩემს წინ ქვეყნებია კატაფალკებში.**

ბებერ მესაფლავეს არ ახსოვს:
მის სიცოცხლეში რამდენჯერ შემოსულა ბალდახინი ამ გალავანში.
რამდენჯერ გაუთხრია საფლავი ადამიანისთვის.
რამდენჯერ უტირია ადამიანს საფლავი ად მიანას.
ეს ალბად ძლიერ ბევრია
საფლავები: 1. № 2. № 3. № 4. № 0. № 00 და კიდევ ბევრი.
აქ მუდამ საკმელის სუნია და მნათე ზარს რეკავს.
რეკავს რომ მუდამ ახსოვდეთ კუბოში მწოლიარეთ:
ისინი მკვდრები არიან.

აქ მუდამ ჩრდილი უჩინარ ხეების ქალაქში სიკვდილს გზავნის ჭოტების ყვირილით.
ქალაქში სიკვდილს უჩინარ ხელებით და უჩინარ სურვილებით.
აქ მუდამ სიკვდილია.
მოვისდომე სიცოცხლე.
დამავიწყდა, რომ აქ ვარ სასაფლაოზე. და იქნებ მკვდარი ვარ მე.
მღვდელი № 3 იძახდა ალილუიას.
ის ყველა აჩრდილებს იცნობს. ის ყველას მამაა.
შემეცოდა ქვეყანა გადავწყვიტე ტირილი.
დამავიწყდა რომ სასაფლაო უჩემოდ ტირის.
დავთვალე კატაფალკები.
კატაფალკები. კატაფალკები.
ყველგან მე ვიყავ და ყველგან იყო ქვეყანა.
გამეხარდა სიცოცხლე და გადავწყვიტე არაოდეს არ მომკვდარიყავ.
არ ოდეს არ მეფიქრა სიკვდილზე.
მოდის გმინვა უამრავ ლანდების.
ნეტა მეც ლანდი ვიყო მკვდარის.
ალბად ჩემი გმინვაც ვინმეს შეაწუხებდა.
კიდევ გაატარეს ბალდახინი.
მე ვხედავდი: როგორ იღუპებოდენ ქვეყნები
როგორ რეკდენ ზარები. და როგორ შევცქეროდი მე ჩემს სიკვდილს.
მიდიოდა ბალდახინი და მე ვიწექ შიგ.
ჩემი ლანდი მიჰქონდა სასაფლაოს.
კვდებოდა ერთი ქვეყანა.
მე შევცქეროდი სასაფლაოს. ჩემს წინ ქვეყნებია კატაფალკებით.
მე კიდევ ვხედავდი: როგორ სხვანაირად მიდიოდა ჯგუფი სკილეტების.
ვხედავდი: კვდებოდა ქვეყანა და მე ბალდახინით მომქონდა სასაფლაო
კვდებოდა სასაფლაო.
სასაფლაო № 1001.
ა ე დაღამდა იქ.

—

**ვინ ფიქრებს კიდევ ამაზე? ყველას ვთხოვ: ნურ ვინ იფიქრებს ამ თემაზე რადგან მე ავაშენე ახალი ქვეყანა.**
**მე დავინახე ქვეყ ნა სასაფლაო.**

1925 . ‑ე‑ვლის საღამოთ.



**მარო თარხნიშვილი**

ქართულ-კახურ ხალხურ (დღეის თარხნიშვილების ხასიათით ცეკვით) გუნდის ხელმძღვანელი.

დავით ხონელი

# ღამეები სულთან

ღამეებს მინდა ვანაცვალო დღის გათენება,
რადგან იქ ჰპოებს ჩემი სული თავისუფლებას...
მყუდროებაში ფრთებს აისხამს ჩემი ოცნება,
ციურ ჰანგებით ამღერდება სულის დიდება.

მე აღარ მინდა გათენება მახინჯი სახით,
სევდა-ნაკრავი მტვრიან ქუჩებს ავედევნები.
სულში დაძვრება ბოროტება დღის სივაგლახით,
ღამეებს მინდა ჩავეკონო მწუხრის განცდებით.

ნეტავი იმას, ვინც ღამეებს ჩემებრ იწამებს!
და ღამეებში აკვნესებს ჩანგს დიდებისას,
ამ ქვეყანაზე უბედური მე არ მიწამეს,
ღამეებს მაინც მივაბარებ სულს წამებისას.

# სახალხო თეატრის მოღვაწენი



ვიქტორ ნინიძე

პლეხანოვის (ნაძალადევის) თეატრის მუშათა ქართულ დრამატიულ დასის რეჟისორ-ხელმძღვანელი, რომელმაც მუშათა ამ მრავალ უბნის თეატრში წელს ქართული წარმოდგენები წესიერ კალაპოტში ჩააყენა, საუკეთესო ძალნი შემოიკრიბა გარს და მუშა ხალხი წმინდა ხელოვნების წყაროს აზიარა.

1910 წლიდან ხალხურ თეატრს ემსახურება როგორც ნიჭიერი მსახიობ-რეჟისორი და გონიერი ხელმძღვანელი. მომავალ კვირას—აპრილის 12—პლეხანოვის თეატრში იმართება მისა საბენეფისო წარმოდგენა.

## აკადემიური დრამა



ნახატი და კლიშე კ.ერ-ისა

მოხუცი ელიზბარი—უშანგი ჩხეიძე.
„მათრახის პანაშვიდი“ ალ. შანშიაშვილის
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

თამარ გოგოლაშვილი

# ცეკვის პოეტი

**რუდოლფ ფონ ლაბანი**

ევროპაში ცეკვის ხელოვნება თანდათან დიდ ყურადღებას იპყრობს; ამ მხრივ მრავალ ძიებას შეხვდებით აქაც, როგორც რუსეთში იმ განსხვავებით, რომ ყოველ შემთხვევითი ტიპს არ შეუძლიან თავის თავის ახალ სკოლის „აღმომჩენად“ გამოცხადება.

რასაკვირველია, არიან რუსეთშიაც ნამდვილი ახალის შემომქმედნი, მაგრამ სწორედ ისინი საკუთარის არსებობით არ ჰქმნიან „მიუწვდომელ ტიპს“, უცნაურ სექტას... ისინი სრულიად პოზიტიურად მუშაობენ და ახალ მიღწევებს იძლევიან სცენაზე, მწერლობაში, მუსიკაში და სხ. ისინი ნაკლებ ლაპარაკობენ თავის „ზე-კაცობაზე“ და ცნობილის მეთოდებით ჩვეულ ხალხს ხელოვნებასთან აახლოვებენ. ცოტაა მათში ბუნდოვანი, რადგან საგანი, რომელიც უყვართ და რომლისთვისაც მუშაობენ, თვითონ მათთვის აღარ არის ბუნდოვანი... ევროპაში სწორედ ამ მეორე ტიპის ნოვატორებს აქვთ მარტო უფლება „ძიები“ს ხალხი უწოდოს თვის თავს. ის განდგომილობისთვის არ მუშაობს, არამედ რომ მასისთვის გასაგები გახდეს. მის ექსპერიმენტებს შემთხვევითი ხასიათი არა აქვს: ის ათასჯერ ზომავს, იკვლევს ისტორიულად, ფსიხოლოგიურად, სოციოლოგიურად და ამ წმინდა მეცნიერულ კვლევის დროს განსაზღვრულ დასკვნამდე მიდის. ყოველ ცდას თავისი დამთავრებული თეორია აქვს. თუ ცდა დამარცხდა, სჩანს თეორია ვერ ყოფილა საკმაოდ ობიექტიურად და მეცნიერულად დასაბუთებული. და ის იწყებს ახალ ძიებას...

ეს ძიება ხდება არა მარტო მეცნიერების სხვა და სხვა დარგში, არამედ წმინდა ხელოვნებისაც.

* * *

ერთ ასეთ გამართლებულ და დღეს უკვე გამარჯვებულ ძიებად უნდა ჩაითვალოს რუდოლფ ლაბანის ქორეოგრაფიული ცეკვა.



„ჯადოსნური ბაღი“ (ლაბანის სკოლის ცეკვა)

დღეს არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპის მთავარ ცენტრებში უკვე ცნობილია ლაბანის ძიება“ და მისი ინსტიტუტები დიდ ყურადღებას იმსახურებენ. ბევრნაირი ცდის შემდეგ ლაბანი გამარჯვებული გამოდის და მისი სკოლა მოქალაქობრიობას პოულობს. ტომით უნგრელი, რომელის წინაპრები ოდესღაც საფრანგე-

*) მასალა და სურათები ლაბანის შესახებ გადმომცა მისმა უახლოესმა, ნიჭიერმა თანამშრომელმა იდა ურიანმა, რისთვისაც წრფელ მადლობას ვუძღვნი. ფ. გ.

თიდან გამოსულან, გვარდიის ოფიცერი, ესთეტიურად უაღრესად განათლებული იგი ჯერ საფრანგეთში იწყებს თავის ძიების ექსპერიმენტებს და მისი მასწავლებლებიც ვერ ურიგდებიან ამ „რევოლიუციას“ და განდევნილი ლაბანი თვითონ იწყებს საკუთარ გზით სიარულს. ამ ექსპერიმენტებს ის შემთხვევითი ხასიათს კი არ აძლევს, არამედ ცდილობს თეორიით გაამართლოს იგი.

ლაბანი, როგორც ჭეშმარიტი ნოვატორი ინსტინქტით და ინტუიციით ბრმად არ მუშაობს, მას სურს ეს ინსტინქტი გახსნას, მისი კლასიფიკაცია მოახდინოს და ყოველ ნაბიჯს, ხაზს, რიტმს თეორეტიული დასაბუთება მისცეს. ეხლა მას თამამად შეუძლიან თვის შრომას ცდა, ძიება კი არა—ნამდვილი სკოლა უწოდოს და ამ სკოლის ფილიალები დღეს არსებობენ: ბერლინში, რომში, ვენაში, ბუდაპეშტში, ბერნში, ლეიპციგში, მიუნხენში, ციურიხში, ბაზელში, ბელგრადში, ჰამბურგში და სხ. შეუძლებელია პატარა წერილში ამ თეორიის ოდნავ განმარტება, რასაც ლაბანი ცეკვას საფუძვლად უდებს...სულ უბრალო ტრაფარეტით რო გადმოვსცეთ, ეს იქნება—**ტანის მოძრაობით სულის გადმოცემა.** ლაბანი კაცობრიობის ძველთაძველ საუკუნოებში ეძიებს შემოქმედების წყაროს... უკეთ რო ვსთქვათ, ადამიანთა წარმოშობა-განვითარების პირველი საფეხური იძლევა ტანის მოძრაობის მთელ ძალას. იყო ისეთი დრო, როცა ადამიანი სულ სხვა ფორმით ფიქრობდა, მღეროდა, ცეკვავდა და მოქმედებდა, მაგრამ კიდევ უფრო ადრე, როცა ადამიანის ბგერა უხმო იყო, როცა მისი ინტელექტი ბევრად არ განირჩეოდა ცხოველთაგან, როცა მას არ შეეძლო ენით გამოეთქვა საკუთარი ზრახვანი—ის ტანის ან მისი ნაწილების მოძრაობით ხატავდა თვის „მე“ობას. კოლექტიურ ცხოვრების აუცილებლობამ წარმოშვა ხმები, ბგერანი, რაც შემდეგში სიტყვებათ გადაიბნენ; მაგრამ ამ კოლექტიურ ყოფის პირველ ხანში ის სარგებლობდა ტანით, რაც მას ენის მაგიერობას უწევდა. მაშინ იყო მისი აგებულება მოქნილი, ელასტიური, მოძრავი, როგორც დღეს ზოგიერთ ცხოველებსა აქვთ. გამუდმებული ვარჯიშობა გრაციოზულად ხდიდა მის ყოველ მოხვრას. და განა ცოტაა ამის მაგალითი ცხოველთა შორის? ვეფხი, რომელიც უხმოდ ეპარება თავის მსხვერპლს; ლომი, რომელიც ზურგზე ახტება თვის მტერს; არწივი, რომელიც მაღლა კამარას შეჰკრავს, რომ იქიდან ერთბაშად დაეშვას და ბრჭყალები ჩაასოს თვის მსხვერპლს... ყოველ ამ მოძრაობაში **არის ელემენტი უმეშვეო** გრაციის, სხეულის ან მისი ნაკვთის ბუნებრივად მოძრაობის... ამ ელემენტების განვითარება რომ შეიძლებოდეს, რომ წრთვნა მხეცის ინსტინქტს არა ჰკლავდეს, ჩვენ მშვენიერ ცეკვას ვიხილავდით და არა იმას, რასაც ხშირად ვხედავთ მოცეკვავე დათვის, ცხენის ან ძაღლის სახით. მაგრამ თუ მხეცებში გაუტეხელად ამ ბუნების მოშინაურება შეუძლებელია, ადამიანმა თავისი ინტელექტით უნდა გამოიწვიოს ნელ-ნელა ეს დაკარგული თვისებანი ტანისა, რის სრული ატროფია მოხდა დღეს?...

დღევანდელ სოციალურ ურთიერთობას არ ეჭირვება მოძრობითი ლაპარაკი, მისი ენა ტელეფონ-რადიოების საშუალებით 1000 კილომეტრების იქეთ აღწევს, მაგრამ ის „სენი“ რაც პირველ ადამიანს ჰქონდა არ უნდა დაიკარგოს. თუ გვინდა ტანის ჯანსაღობა, მისი სილამაზე ელასტიური მოძრაობა არ დავკარგოთ...

ლაბანი ტანთსაცმელთან ერთად აცლის ადამიანს დღეს მიძინებულ, გარეგნულად გალანტურ „მოძრაობასაც;“ ის ცდილობს ძველ მოძრაობათა ფორმები კვლავ გაუღვიძოს ადამიანს...

ან კი რაღა შერჩა დღეის ევროპიელს ამ ძველ მოძრაობიდან—რაღა ეჭირვება ამ ჟამად მას? ფეხის გადადგმა, თავის დაკვრა, ხელის ჩამორთმევა-გაწვდა, წამოწოლა. . ეს ერთი ჯგუფისათვის. მეორე ჯგუფს, რომელიც მუდამ მძიმე შრომაშია, დარჩენია ერთ სახის მოძრაობა ხელებით, კუნთებით, მოხრით. ის ინდუსტრიის ვეებერთელა მანქანის დამატებაა და მას აღკრძალული აქვს განსაზღვრულ მოძრაობათა წრეს რითიმე გადაამატოს—ის თვით ავმტომატიურია... ამ რიგად, დღეის სოციალური პირობები აღარ ითხოვენ ტანის ძველ მრავალგვარ და ინტენსიურ მოძრაობათა ფორმების აღდგენას, ისინი თანდათან **იზღუდებიან და მარტივდებიან.** მაგრამ ხელოვნება, ესთეტიკა მოითხოვს ტანის მიძინებულ თვისებათა გამოღვიძებას, დღეს ეს ხდება ან ცეკვის—ბალეტის სახით, ან ტურნის გიმნასტიკის... არც ერთი ეს არ არის ნამდვილი, პირველყოფილი მიმოხვრათა გამომწვევი. გიმნასტიკა, მართალია, ტანს აჯანსაღებს, მაგრამ კუნთების და ნაკვთების გაძლიერებით ჩვენ ოდნავათაც ვერ ვქმნით სულის მეტყველებას. ეს წმინდა მექანიკური მოძრაობაა და შიგ აზრი, თქმა არ მოიპოება. ბალეტი, დღეის ცეკვაც შორს არის სულიდან. აქ მისთვის მთავარია მუსიკა, ჰანგები, მელოდია, ტანთსაცმელი... 7 ტანის მოძრაობა მოსდევს ამ ტონებს, რომ მას ჰარმონიულად შეეზარდოს; მიმიკა, მიხვრა-მოხვრა აძლიერებს მუსიკის თქმას, თვით ცეკვა დამონებულია, მისი ბუნება დამოუკიდებელი არაა; მოკლედ აქ ლაპარაკობს **ხმების სული** და არა ტანის... ცეკვა-კი წარმოიშვა როგორც დამოუკიდებელი ხელოვნება და ეს დამოუკიდებლობა უნდა დაუბრუნდეს მ ს, მუსიკა შეიძლება იმდენათ იყოს, რამდენათაც ის მისდევს და აძლიერებს სულის თქმას, ინსტინქტს სხეულის მოძოაობაში... ცეკვა არის თავისუფალი, დამოუკიდებელი გამოხატვა გრძნობა-წადილთა სხეულის მოძრაობით, მაგრამ ეს გამოხატვა მარტო მაშინ შეიძლება, თუ ადამიანი ამ მოძრაობათა დავიწყებულ-უძველეს ფორმებს კვლავ იპოვის. დღესაც არიან ისინი ცხოველთა სამეფოში და ბუნებაში გაბნეულნი (ხეების ტოტების მოძრაობა ქარიშხლის დროს, ვულკანის ძალა ამოხეთქისას და სხვადასხვა...) და ადამიანმა ეს „ძველი თქმის“ დარჩენილი ელემენტები უნდა ამოკრიფოს და თვის მიჩლუნგული ინსტინქტს ხელახლა გადააბას, დაუკავშიროს...

ამიტომ ლაბანი მთავარ ყურადღებას აქცევს ბავშობიდანვე (სკოლებში) ამ მოძრაობათა სახეების გაძლიერებას. ტანთსაცმელები, ლამაზი, ჭრელი ფერები, რაც ბალეტში მთავარია, სულ უნდა გაქრენ და მარტო შიშველმა ტანმა უნდა დაიწყოს მეტყველება. ბავში უკვირდება და ეჩვევა სხვადასხვა ცხოველთა მოძრაობას, მიხვრა-მოხვრას, გადახტომას... ამრიგათ, როცა მისი ინტელექტი უკვე მწიფეა, მას აქვს თვისი განცდების გადმოსაცემათ კიდევ ერთი საშუალება, რაც ჩვენ დავკარგეთ. მისი სულისთქმას, სიტყვებს ის ამ მოძრაობაში ხატავს. აქედან ერთი ნაბიჯია დღეის იარაღის—სიტყვების უარყოფისადმი... ლაბანი აქამდე არ მიდის, მაგრამ, ერთ-ერთ საშუალებათ (მუსიკის და სიტყვების გარდა) საკუთარ გრძნობათა გამოსახატავად შეიძლება სხეულის მოძრაობაც გამოვიყენოთ. და რთული ლეგენდები, პიესები იდგმება ლაბანის მიერ, საცა სიტყვების ნაცვლად ტანით—ხელებით, თითებით, ფეხებით ლაპარაკობენ... ამ რიგად

დადგმული სცენები არ საჭიროებენ განმარტებას. ამის ელემენტები წინადაც ყოფილა: რელიგიოზურ ცერემონიალებს ჰქონდათ თავისებური თქმა ცეკვაში, პოლიტიკური აქტებიც ხშირად ამ სახით მიდიოდენ; მაგრამ დღეს, დღევანდელ რთულ სოციალურ ურთიერთობას, კულტურას არ ეხერხება ამ საშუალებით სარგებლობა და ლაბანის ცდაც იქედ არის მიმართული, რომ დღეის ურთიერთობასაც შეუფარდოს თვისი ქორეოგრაფია.

* * *

მას შემდეგ, რაც მოთამაშემ მოძრაობის თითო ხაზის აზრი შეითვისა, ანუ მას შემდეგ რაც მან ამა თუ იმ გრძნობის გამოსახატავად განსაზღვრული მოძრაობა მონახა, ის ხდება ქორეოგრაფიის ნამდვილ წევრად. მას აქ არაფერი არ ეუცხოება და ამ ძველ მითში ლეგენდაში ის ბუნებრივად გრძნობს თავს, მოკლედ: იგივეა რაც მსახიობისათვის კარგი ანსამბლი. იმდენად ძლიერი ხდება აქ შთაბეჭდილება, რომ სრულიად გატკვევებთ, თქვენ არ გრძნობთ, რომ გარეშე—შემთხვევით მოსული ხართ აქ... ეს მისტერიები თქვენთვისაც ნათესაურია და ვერც კი წარმოგიდგენიათ—როგორ შეიძლება ესა თუ ის გრძნობა გამოხატოს—რაიმე სხვა ფორმით, თუ არა სხეულის მოძრაობით და ამავე დროს **სწორედ ასეთის მოძრაობით,** რასაც ლაბანი ჰქმნის... ამ ნოვატორის მთელი სიძლიერე მასიურ ცეკვაშია, მაგრამ ამას არ შეიძლება ცეკვა ვუწოდოთ იმ აზრით, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია. აქ არის მასის სულიერი მოძრაობა, გრძნობის ყოველი ნიუანსი ტანის ხაზებში გადმოცემული. მარტო ხელების და თითების მოძრაობა ამ მასისა უკვე ქმნის მთლიან შთაბეჭდილებას: რისხვა, ლოცვა, შიში, სიყვარული, სათნოება უნაკლოდ მეტყველებს.

დიდი პრობლემაა დღეის თეატრისთვის მასიური სცენა და ევროპამ ბევრად უფრო ადრე მიაქცია მას ყურადღება. აქაური სცენის უბრალო მსახიობი, სტატისტი არ იბნევა და უმწეო არ არის—ის თავის „როლს“ სრულის ღირსებით და შეგნებით ეკიდება—ყოველ მიხვრა-მოხვრას, ჟესტს, მიმიკას ხანგრძლივის ვარჯიშობით ითვისებს. ამიტომაა, რომ აქ მასიური სცენა ყოველთვის მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს... მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამა თუ იმ თეატრში განსაზღვრულ მასიურ სცენის ამსრულებლად ლაბანის დასს იწვევენ და მაშინ ეს შთაბეჭდილება უფრო ღრმავდება. ამის მაგალითები ჰამბურგის მთავარ თეატრებში წელს ბევრი იყო და ლაბანის სკოლა ასეთ წარმოდგენების დროს ყურადღების ცენტრად ხდება. რასაკვირველია, ეს არ წარმოადგენს ლაბანის მიზანს: მას არ სურს მისი შემოქმედება დრამატიულ სცენიდან იყოს დამოკიდებული, ისე როგორც მუსიკიდან... მას, როგორც ვსთქვით, ცეკვის **საკუთარი ბუნება** სწამს და მარტო სხეულის მოძრაობის ენა მიაჩნია მკვეთრად—ღრმა გრძნობათა გადმოსაცემად, მაგრამ ეს იყო ერთგვარი დათმობა, რაც ხშირად უხდება ყოველ ახალ სკოლას.

* * *

ჩვენთვის ძნელია წარმოვიდგინოთ—როგორ შეიძლება იმდენი ნაირობა გამოიხატოს მოძრაობით, რასაც ტონები (მუსიკაში) და სიტყვები (დრამაში) იძლევიან. ლაბანისათვის კი ეს საკითხი გადაჭრილია... ისე, როგორც მომქმედ პრის (პიესაში) თვისი ტიპიური გამოთქმები, ტონები აქვს, ყოველ მოცეკვავეს აქვს საშუალება ამ ტიპიურობის უნაკლოდ გადმოცემისა. ამისთვის საჭიროა, მისი სხეული საკმაოდ მოქნილი იყოს და მას ჰქონდეს შესწავლილი ტიპიური მოძრაობანი: განსაკუთრებული სოციალური პირობები, პროფესია ჰქმნის განსაკუთრებულ მოძრაობებს, რომელნიც ტიპიურნი ხდებიან. მაგალითად ყოველი ჟესტი, მოძრაობა ქალისა განირჩევა მამაკაცისაგან. მონას აქვს თვისი ტიპიურა მიხვრა-მოხვრანი, მწყემსს—თვისი, მრეცხავს კიდევ თავისი, მეზღვაურს და სხვა ათასი... თუ მოთამაშე ენათესავება ამ ტიპის განცდას, ის მოსძებნის მისთვის შესაფერ მოძრაობათა ტიპიურ ფორმებს. და ეს ფორმები გამოსძებნა ლაბანმა და მნიშვნელოვანი უკვე გადაიტანა სცენაზე და ქაღალდზეც, რადგან მისი აზრით „ცეკვას აქვს საკუთარი გრამატიკა და საკუთარი ორთოგრაფიაც, ყველაფერი ცოცხალი, მოძრავ ფორმებშია!...“ ამ მოძრაობათა განმარტივება, მათი ფორმების ჩამოყალიბება რთული და ძნელი ამოცანაა... დედა, რომელიც დაიხრება და მკლავებს გაშლის, რომ თვისი შვილი გულში ჩაიკრას, ქალი რომელიც თვის სატრფოს მხრებზე მკლავებს დააყრის, რომ მის ტუჩებს დაეწაფოს, ეს შეიძლება ყოველთვის ერთნაირად არ ამოძრავებდეს სხეულის ნაწილებს, მაგრამ არის რაღაც, რაც მუდამ ერთნაირია ამ დროს—რაც **განსაზღვრულ გრძნობას ხატავს და ტანის წონასწორობის დაცვასაც ცდილობს.** ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ლაბანის ქორეოგრაფია თავისუფალი შემოქმედებაა, რომ ყოველი პიროვნება საკუთარის შეგნებით და გაგებით ამეტყველებს მის სხეულს, მაგრამ ამავე დროს შეზღუდულია შიგნითი კანონით... გრძნობების დანაწილება ითხოვენ განსაზღვრულ მოძრაობას, განსაზღვრულ მომენტში და თუ მოთამაშეს ესმის მისი როლი, ის საერთო ტონს მიჰყვება და თითქმის ყოფელთვის ერთნაირის მოძრაობით გამოხატავს ამა თუ იმ თქმას. ამან მისცა საბაბი ლაბანს, რომ მისი ცეკვა, სხეულის ნაწილთა მოძრაობა სულის მოძრაობის მიხედვით ქაღალდზე გადაეტანა და ისეთის ნიშნებით გადმოეცა, როგორც ამას კომპოზიტორი ნოტებით სჩადის.



ქორეოგრაფია (ცეკვა ქაღალდზე გადტანილი ლაბანის მიერ).

ხელოვნების ძალის გამოთქმა სრულიად ახალის საშუალებით—აი ლაბანის მიზანი.

და ისე როგორც პოემის კითხვის დროს იშლება მთელი სულიერი დრამა, ეპოქა, სტილი; როგორც ნოტების კითხვის დროს მუსიკოსი გადადის მელოდიების და ჰანგების სამეფოში—ისე ცეკვის მეგობარი ამ ახალ ნიშნების კითხვის დროსაც უნდა ხედავდეს სხეულის ნაირ მოძრაობას—ძალას, პლასტიკას, გრაციას, ექსტაზს, სიყვარულს, რისხვას, ლმობიერებას, სისუსტეს ე. ი. ყველა იმას, რითაც სავსეა ჩვენი ბუნება და რაც ხანდისხან მოძრაობით უფრო აშკარა ხდება, ვიდრე სიტყვით და ჰანგებით; ჯერ ცეკვა და შემდეგ ამ ცეკვისთვის დაწერილი მუსიკა,—აი რისთვის იბრძვის ლაბანი და მან მართლაც გაანთავისუფლა ცეკვა და ამ ცეკვის უტყუარი პოეტიც თვითონ გახდა... საუკეთესო დადგმანი გიოტეს ფაუსტისა, ვაგნერის პიესებისა და სხვა ვერ სცდებიან დღეს ლაბანს

ნამდვილი მიღწევა მარტო მაშინ ხდება, როცა ლაბანის სკოლა იღებს მონაწილეობას და განცდათა სხვადასხვაობას მის მიერ შექმნილ ცეკვაში ხატვას.

მაგრამ უფრო შესანიშნავია ლაბანის საღამოები, რაც ასე გახშირდა განსაკუთრებით გერმანიის კულტურულ ცენტრებში: აქ არ არის არც ნაირი დეკორაცია, არც განათებათა მრავალფერი ეფექტები, არც კოსტიუმები და არც მუსიკა.

პირველად ყოველივე ეს გეჩოთირებათ, არ მოგწონთ; მაგრამ სულ მალე თითქოს ერკვევით და რწმუნდებით, რომ ლაბანი მართალია: რომ ცეკვას აქვს თვისი დამოუკიდებელი, მდიდარი ბუნება, რომელსაც დღეს ზევიდან კოსტიუმები, დეკორაციები და მუსიკა დასწოლია, და დაუფარავთ... და ცეკვის ნაცვლად ჩვენ ვიცნობდით ბალეტს.

ლაბანი ერთის დაკვრით აცლის ცეკვას „ზედნაფენებს“ და იბადება წმინდა, ქალწული თავისუფალი ცეკვა. პირველად ხედავთ ინსტინქტის ძალას, რომელმაც ადამიანის სულის იდუმალობა სხეულის ხაზებში გადმოშალა, ნერვები საოცრათ დასჭიმა და თქვენც ცეკვის წმინდა პოეზიას გაზიარათ...

## სახალხო სცენის მოღვაწენი



გერასიმე შაიანდურიანი

ასოთამწყობი—სცენის მოყვარე 1902 წლიდან ემსახურება სახალხო სცენას— მუშურ თეატრებს როგორც ნიჭიერი სცენის—მოყვარე, დაუზარელი მუშაკი.

იოსებ იმედაშვილი

# შეწყვეტილი ჰანგი

(კომპოზიტორ **ანდრია ყარაშვილის** დაკრძალვის დროს დიდუბის პანთეონში ნათქვამი .

ძვირფასო ანდრია!

შენი მოულოდნელის სიკვდილით ჩვენი სახელოვნო უფერული ცხოვრება კიდევ უფრო გაუფერულდა,—

გაუფერულდა მუსიკის თვითშემოქმედება ჩვენი ნორჩი საოპერო ხელოვნება!

შეწყდა ჰანგი, რომელიც მარადის მშობლიურის გრძნობით ჰბგერდა...

ძველ შავბნელ უნიათო ხანაში შენ ჩამოჰკარ ჩვენს მიყუჩებულ გულის სიმებს ჩაზი წკირა და აბუჩად აღებული სამშობლოს სიყვარული განგვიცხოველე, მისი სიმშვენიერე გულს ხატა ჩაგვისვენე:

„სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო ზურმუხტო ანუ ალმასო!“ გვიმღერდი და ჩაბალ-მოხდილ, აბუჩად აღებულ სამშობლოს გვაყვარებდი.

და ვინ არ მოსთქვამს გულის კვნესით შენს:

„დავრდომილი სნეული
უნუგეშოდ ვსტირი მე!“

ხოლო ძვირფასო ჩემო, შენ მარტო შენის პატარა ქვეყნისთვის არ იყავ დაბადებული: შენი უებრო ნიჭი, სამუსიკო ცოდნა ფართე გზას გიხსნიდა რუსეთსა და ევროპაში საგულიგულო, ხელიხელ საგოგმანებელი შექმნილიყავ არა მხოლოდ სიტყვით,—საქმითაც: შენ იქ ფართე სახელის გარდა ქონებასაც შეიძენდი, გარნა შენ ირჩიე მშობელი ქვეყნის მობინდულ ცის გაშუქება: უცხოეთის სიმაძღრეს შინაური სიმშილი ამჯობინე მობურუსულ სამშობლო ცის ქვეშ:

მოხველ, აკვნესდი,—აგვაკვნესე!

და სასოწარკვეთილთ შთაგვბერე სასიცოცხლო „მრავალ ჟამიერი!“

უდროოდ შესწყდა ქნარის სიმები, სულმნათ შოთას „ვეფხის ტყაოსნის“ ალმომქმნელი, რომლის მოსმენასაც ვერ ვეღირსეთ.

დიდია შენი სამუსიკო შემოქმედება, როგორც ნამდვილი ქართული მუსიკის მეტყველება ევროპიულ ელფერით მოგვარისტებული: დადგება დრო და ქართული მუსიკის ისტორიკოსი საპატიო ადგილს მოგაკუთვნებს.

30 წელზე მეტი მუშაობდი სამუსიკო ასპარეზზე ვითარცა წმინდა ხელოვანი, მშობლიურ ჰანგთა შემომქმედი, უზადო მასწავლებელი და მუშაობდი ხშირად მშიერი, მწყურვალი, მოკრძალებული, კარჩაკეტილი: აძლევდი ქვეყანას და მისგან არარას ითხოვდი.

ამიტომაც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მოწიწებით მუხლთ გიყრის. მე მწამს მშობელი ქვეყანა არ დაგივიწყებს და მარადის გულში ეყოლები ჩახუტებული, როგორც მისი სულის ტკივილთა გამომთქმელი, მისი ვაების დამაშუშებელი, სასოების შთამნერგველი...

სამარადისო დიდება შენს ხსოვნას ვალმოხდილო, უჩინარო ქვეყნის ნაამაგდარო შვილო—მის სულის განცდათა დიდო მესაიდუმლევ!..

დიდუბე. პანთეონი.
15/-III-25 წ.

# სახალხო სცენის მოღვაწე-მუშაკნი



ვანო იაგორის ძე მარკოზოვი.

სცენაზე გამოვიდა 1900 წ. 1904 წ. შევიდა არაქსიანის თეატრში არსებულ მუდმივ დრამატიულ წრეში, რომელშიაც მუშაობდენ (რეჟისორი) იოსებ იმედაშვილი, ს. ბაჯიაშვილი, რ.სალაყაია, გევ. ფირუმიანი (რომელმაც მარკოზოვი მიიყვანა წრეში),გ. გელიკურაშვილი, ლ. ბაღაშვილი, ს. პეპანოვი, ნ. მირველოვი და სხ.

ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლში მონაწილეობდა კოტე შათირიშვილის, ალ წუწუნავას და ნიკო გოცირიძის რეჟისორობით.

1921 წ. დღევანდლამდის ხელმძღვანელობს მუშკოპის ქართულ დრამწრეს. მისი თაოსნობით და ენერგიით გაკეთდა საკუთარი სცენა. გასულ ზაფხულს საბჭოთა მუშაკთა კავშირის კლუბის სათეატრო განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

# წერილი კახეთიდან

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს
იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს.

**ნ. ბარათაშვილი.**

სოფელი შილდა და ყვარელი მთელი კახეთის თვალია და კერძოდ თელავის მაზრისა. ეს სოფლები გაშენებულია კავკასიონის უზარ-მაზარ მთების ძირში, რომელიც საზღვრავს საქართველოს დაღისტნისგან და თითქოს დარაჯად უდგას ამ მხარეს, რომ ვერაგი ხელით არავინ შეეხოს ლამაზ კახეთს. აქ მრავლად არის გაშენებული საყურადღებო საომარი ციხე-კოშკები, რომელნიც ბევრი რამის მოწმენი არიან, ბევრი საიდუმლოებაა მათში ჩამარხული, მაგრამ ვინ რას გაიგებს?! ერთი კი აშკარაა, რომ ჩვენს წინაპრებს არ დაუზოგავთ უკანასკნელი სისხლის წვეთი შთამომავლობის გადასარჩენად. დღეს ეს სოფლები კაი ღონიერ სოფლებად ითვლება, მათში მრავლად მოიპოებიან ინტელიგენტური ძალები. ყველა ეს ძალები უნდა იყვნენ გამოყენებულნი კულტურულ მუშაობის ასპარეზზე. ჩვენი ქვეყნის ინტერესები გვიკარნახებენ არა ვისიმეს წინააღმდეგ იარაღის აღებას, არამედ კულტურულ და ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას. აქეთკენ უნდა იყოს მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული. შილდაში არის კოოპერატივები მომხმარებელი და მწარმოებელი, რომელთა საქმე სასურველად არაა დაყენებული. აქვეა დაწყებული დიდებული უზარმაზარი სახალხო სახლი, რომელიც დამთავრდება ამ მოკლე ხანში.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სალიკვიდაციო სკოლა. სამაგალითოდ კითხულობენ 26-28 წლის გლეხები, რომელთაც წელს დაუწყვიათ სწავლა. თებერვლის პირველ რიცხეებში ადგილობრივმა ინტელიგენციამ ამოირჩია წერა-კითხვის სალიკვიდაციო და საერთოდ კულტურული მუშაობის ხელმძღვანელი კომიტეტი (11 კაცისაგან), რომელმაც ამოირჩია პრეზიდიუმი (სამი კაცი: სოსო მაჭავარიანი, დათიკო არუთინთვი და ირადიონ დავით მღვდლისშვილი). კომიტეტი უკვე შეუდგა კულტურულ მუშაობას: წარმოდგენების მართვას, ლექციების კითხვას და საუბრების მართვას.

**კახელი ხოხო.**

# საგარეჯოს თეატრის ისტორიისთვის

(ს. მთვარაძის წერილის გამო) *)

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“-ს 1924 წ. № 18 (21)-ში მოთავსებულმა ამხ. მთვარაძის წერილმა საგარეჯოს თეატრის ისტორიის შესახებ პირველ შეხედვით ჩვენში დიდი აღფრთოვნება გამოიწვია; გაგვახარა ჩვენი სოფლის თეატრის 50 წლის ისტორიის ჟურნალის ფურცლებზე აღნიშვნამ, მაგრამ როდესაც დაველით წერილის ბოლომდე, სულ სხვა შთაბეჭდილება მივიღეთ. ავტორს ბევრი ისეთი მოღვაწის გვარი გამოუტოვებია, რომელნიც ღირსნი იყვნენ საგარეჯოს თეატრის ისტორიაში მოხსენების, მაგ., ავალიშვილები: ნიკოლოზ, ირაკლი, არჩილი, მჭედლიშვილები: საშა (აწ გარდაც.), რომელმაც დაიწყო სცენაზე მუშაობა 1883 წლიდან, ვანო; რეზო ჯაბადარი კ. ქურხული, იოსებ რევაზიშვილი, პავლე გარსიაშვილი, საშა ქურდიანი, მართა ხატიაშვილი, ქეთევან ბედიაშვილი; ახალგაზრდებიდან: პ. ი. გოდერძიშვილი, ხურციძე, ვასო ჯაფარიძე და სხვა. აგრეთვე, ავტორის აზრით, ზოგიერთი დამსახურებული მოღვაწის მუშაობა იწყება ვითომ 1914 წლიდან, მაგ. კოლა ქურდოვანიძე, დარია მაისურაძე, ი. ანუაშვილი. ზოგის თუ დაავიწყდა, ანუშვილს ხომ ამ წელს გაუმართეთ 24 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად ბენეფისი, რომელშიაც ავტორი მონაწილეობდა. შემდეგ, როცა ახალ ხანას ეხება, სწერს: „1923 წ. საგარეჯოს თეატრს კვლავ დაეტყო სიხალისე, აქ ერთსა და იმავე დროს შესდგა სამი დრამატიული დასი: I-დრამატიული კოლექტივი ბურთიკაშვილის ხელმძღვანელობით; II-ახალგაზრდათა დრამატიული—ჩემის თაოსნობით და რეჟისორობით; III-კომ-კავშირის დასი. ეს ორი უკანასკნელი შეუერთე, ვინაიდან სამი დასი ერთმანეთს ხელს უშლიდაო“. ჩვენ, როგორც 1923 წ. ახ. კომ-კავშირთან არსებულ დრამატიული დასის გამგეობის ყოფილნი წევრნი, ვამტკიცებთ, რომ ეს სიტყვები სიყალბეა. 1923 წ. არსებობდა: I-ადგილობრივ სახ. თეატრთან არსებული დასი და II-ახ. კომ-კავშირთან არსებული დრ. დასი. ამ წელს განსაკუთრებით ახალგაზრდათა დრამატიული დასი მთვარაძის **ხელმძღვანელობით და რეჟისორობით** არ ყოფილა. ამავე დროს არ მომხდარა არავითარი დასების შეერთება, მხოლოდ მოხდა შეთანხმება ჩვენს მიერ აღნიშნულ ორი დასის (რის ოქმი ვგონებ დღესაც არის). უნდა ითქვას, რომ დასებს ხელმძღვანელმძღვანელობდა არა კერძო პირი, არამედ გამგეობა. აი სიმართლე. ვინც საგარეჯოს თეატრის ისტორიის დაწერას მოჰკიდებს ხელს, კერძო მე-ს გულისათვის სინამდვილე არ უნდა დაამახინჯოს. შესაძლოა ჩვენც ვინმე გამოგვრჩა ან რომელიმე მოვლენა სისწორით ვერ აღვნიშნეთ. ვსთხოვთ ვისაც ახსოვს, რედაქციას მოაწოდოს. ახლა ვასწორებთ წინა წერილის შეცდომას: ს. მთვარაძის წერილში (ალბად კორექტორული შეცდომით) მოხსენებული იყო: „ეკატ. საგანელის მეუღლე“ უნდა იყოს: „**ეკატ. ხავანელის მეუღლე**“. აგრეთვე შეცდომითაა ნახსენები: „ბურთიკაშვილის კოლექტივი“, უნდა იყოს: „დრამატიული კოლექტივი ბურთიკაშვილის რეჟისორობით“.

**ალ გარეჯელი (ბედიაშვილი).**
**ნიკ. დავითაშვილი**

*) ვათავსებთ—რა ამ წერილს, კიდევ ერთხელ ვსთხოვთ დაბა-სოფლის მთვალყურეებს და ჩვენს კორესპონდენტებს ყოველივე სისწორით მოგვ ერონ ხოლმე. ჩვენი განზრახვაა შევკრიბოთ ასალა სოფლის თეატრის ისტორიის დასაწერად. ამისათვის-კი საჭიროა სიმართლე, მიუდგომლობა, ცოდნა და მახსოვრობა. რედ.

# „ჩვენებური იუბილე“-ს ავტორს

## იუბილეს მომლოდინეს *)

### კატეგორიულ პასუხად.

თვითონ სათაურიც გვიჩვენებს, რომ საქმეში და მით უფრო სახარჯავიანს საქმეში ვიყვეთ მომჭირნენი და ყოველგვარი გაჭიანურების წინააღმდეგნი. მომჭირნეობა დღეს ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობის ქვაკუთხედია, ხოლო გაჭიანურება, ნამეტნავად ბიუროკრატიული ამ ქვაკუთხედის უსაშინელესი მტერი.

ამ დებულების წანამძღვარება დიდათ გაგვიოლებს **მომლოდინეს** მიერ წამოყენებულ შეკითხვებზე მოსალოდნელი პასუხის გაცემასაც.

მაშ, შეუდგეთ პირდაპირ საქმეს.

### პასუხი 1 შეკითხვაზე.

არა, არ უნდა იყვეთ უკმაყოფილო. და აი, რატომ: თქვენთვის რომ შემოსული 1000 მ. იმავე 31 მარტს მოეცათ, დღევანდლამდე ეს ფული შემოგეხარჯებოდათ როგორც უკვე დაგიხარჯავთ მიღებული 625 მ. ეს რომ ასე არ იყვეს, თქვენ არც ამ დავიდარაბას ასტეხდით.

მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს არა თქვენდამი რაიმე ავგანზრახვებთან და უკმაყოფილების გამომწვევ **გაჭიანურებასთან**, არამედ უბრალო **მომჭირნეობასთან**.

პირიქით, თქვენ დიდი მადლობელი და დიდათაც კმაყოფილი უნდა იყვეთ იმითი, რომ მთელი წარსული წლის განმავლობაში მარტო ამ ერთ უმნიშვნელო საქმეში ასეთი მომჭირნეობა გაუწევიათ, რომ **დაუზოგავთ** 375 მანეთი და 1000 მანეთის მანძილზე **გაუჭიანურებიათ** 625 მანეთის ხარჯვა.

### პასუხი II შეკითხვაზე.

სტუდიელ ლალიძის გაუბედურების მიზეზი სწორეთ თქვენა ბრძანდებით. მაშასადამე, მას აქვს უფლება - და ისიც სრული—გადაგახდევინოს თქვენ ნარკომპროსის მიერ შეპირებული ფული, თუ, რა თქმა უნდა, საამისო ხაზინის ნიშნები დღემდის არის **გაჭიანურებული** თქვენს ჯიბეში.

### პასუხი III შეკითხვაზე.

გამგეობას არა თუ უფლება აქვს თქვენზე ჯავრი მოუვიდეს, არამედ უფლება—აქვს და იშვიათია გამგეობა რომელიც ამ უფლებით არ სარგებლობდეს,—თქვენზე ჯავრი იყაროს კიდეც.

### პასუხი IV შეკითხვაზე

არც სუხიშვილთან და არც დიასამიძესთან, არც ხოჯაევთან და არც ქურთიშვილთან, მით უფრო არც წყალსადენის ადგილკომთან, არამედ—**იარეთ აპანოში**!!!

### პასუხი V უკანასკნელ შეკითხვაზე.

ამბავი ესაა უკვე გამოგიცხადებიათ, გაზეთის თუ არა, ჟურნალის ფურცლებზე მაინც, ხოლო სურათები, დეე, ისევ შკაფში **იმალებოდეს**, როგორც ქუჩის უპატრონო ბავშვები ახერხებენ **დამალვას** ზოგი—ხიდქვეშ, ზოგი—ღია სარდაფებში, ზოგი—სანაგვე ყუთებში და ზოგიც კიდევ სხვაგან.

**დანარჩენი შეკითხვების არ მომლოდინე.**

---

*) „თეატრი და ცხოვრება № 6. 1925 წ.



ა. ი. შალიაპინი, სახელგანთქმული ბასი, და მეუღლე მისი კლერ კარინი, ტფილისში გასტროლების შემდეგ მიემგზავრებიან დასავლეთში, სადაც მიწვეული არიან საგასტროლოდ.

# უცხოეთი

### საფრანგეთი

პარიზში გაიხსნა „თეატრალური ხელოვნების უმაღლესი სკოლა“. მისი დამაარსებელია არტისტი ლე-ბაგრპი. მასში გაივლიან უმაღლესი სათეატრო მეცნიერების კურსს ის აქტიორები, რომელთაც დამთავრებული ექნებათ კონსერვატორია. სულ მოკლე ხანში აღნიშნულ სკოლას ოფიციალურად იცნობს მთავრობა და დაენიშნება შესაფერი სუბსიდია.

საფრანგეთის ავტორთა საზოგადოებამ, მსახიობთა კავშირმა და დირექტორთა ასოციაციამ შექმნეს ახალი საარბიტრაჟო კომისია, რომლის მიზანია რაც შეიძლება ჩქარა და მსუბუქად გადასწყვიტოს ყოველგვარი კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ექნება თეატრის მუშაკთა შორის. კომისიის მიზანია ემსახუროს სათეატრო მომუშავეების კეთილ თანამშრომლობას და ყოველმხრივ შეუწყოს მას ხელი. კომისიაში შევიდა თითო კავშირიდან სამსამი წარმომადგენელი. მისი გადაწყვეტილება—საბოლოოა.

### იტალია

გაზაფხულზედ ფლორენციაში მოეწყობა მეორე საერთაშორისო წიგნის ბაზარი. ამავე დროს შესდგება რამდენიმე კონფერენცია სხვადასხვა ქვეყნების მოღვაწეთა. აგრეთვე მოეწყობა კონცერტები, თეატრები და კინო, რომლის მთავარი ამოცანა იქნება თანამედროვე საერთაშორისო კულტურისა და ხელოვნების მთლიანი ილუსტრაცია. ჯერჯერობით მეორე საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზედ მონაწილეობის თანხმობა განაცხადეს: გერმანეთმა, ესპანეთმა, რუსეთმა, იაპონიამ, რუმინიამ, ინგლისმა, პოლონეთმა, ჩეხო-სლოვაკიამ და შვეიცარიამ.

ვენეციაში დაიხურა მე-XIV-ე საერთაშორისო ხელოვნების გამოფენა. მონაწილეობას იღებდა 1127 არტისტი, წარმოდგენილი იყო 3288 ექსპონატი. აქედან: იტალიელი იყო 390,1116 ექსპონატით. გაყიდულია ექსპონატები 2.400.000 ლირისა.

### გერმანია

დიუსელდორფში გარდაიცვალა ცნობილი გერმანელი მხატვარი ედუარდ გებგარდტი. განსვენებული 86 წ. იყო. პირველი სამხატვრო განათლება მიღებული ჰქონდა პეტროგრადში. მისი სურათების მთავარი მოტივია: რელიგიური ცხოვრება და განცდა.

## ჩვენი უცხოელ საკუთარ კორესპონდენტებისაგან

### ქართველნი ხელოვანნი უცხოეთში.

**სტამბოლი.** თქვენს შეკითხვაზე გაცნობებთ შემდეგს: გიორგი ჯაბადარი აქაა, სტამბოლში. მუშაობს სკანდინავიის საზოგადოების კინოში, რომელიც იღებს აღმოსავლეთის ცხოვრების სურათებს. გ. ჯაბადარი მოსკოვის სტუდიაში მიიწვიეს დიქციის მასწავლებლად. მაგრამ ჯერ ვერ წასულა. როგორც იცით, გიორგის სამშობლოში უნდა მუშაობა. დანარჩენთა შესახებ შემდეგ მოგაწვდით ცნობებს. იუსუფ მუზა-ბეი.

**პარიზი.** გიპასუხებთ მოკლედ: ამ მსოფლიო დედა ქალაქში ამ ჟამად ქართველი ხელოვანნიც შეგხვდებათ. ზოგიერთმა მათგანმა საპატიო სახელიც დაიმსახურა. მაგ. ლ. გუდიაშვილი, როგორც თავისებური მხატვარი, საყოველთაო ყურადღების ცენტრად შეიქნა. რაც შეეხება ირაკლი ჯაბადარს, აქაა. დიდი სურვილი აქვს სამშობლოში მუშაობისა, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოხერხდა: ალბად დღესაც შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს. ირაკლი კი დიდი ხელოვანია არა მხოლოდ საქართველოს საზომით, არამედ ევროპიულის ფარგლითაც. ამას წინად ირაკლი ვენას გაიწვია ერთმა ჯგუფმა მისი ნაწერების გამოსაცემად, მაგრამ რა ნახეს, რომ გამოსაცემი ბევრი იყო, ვერ შეთანხმდენ. ირ. ჯაბადარის სამუსიკო ნაწერები შეიცავს 2000 გვერდამდე და ნახევარზე მეტი (თითქმის 60%) ქართული ჰანგებია. დაბეჭდეს მხოლოდ რამოდენიმე წვრილი ნაწარმოები. ირაკლი ერთი წელიწადია საფრანგეთის მწერლათა საზ-ის წევრად მიიღეს (უცხოელს იშვიათად ღირსებენ ხოლმე ამ უფლებას). წვრილ ნაწარმოებთა გარდა (ჩვენი და ჰუნგრული ჰანგები) დაწერილი აქვს სიმებიან ორკესტრისათვის: 1. ქართული ლეგენდა, კავკას. ცეკვა და სხ; 2. სამი ხმა სიმფ. ორკესტრისათვის, - ერთი ამათგანი ჰუნგრულია, 3. როიალისა და სიმებიან ორკესტრის აკომპ.: I კონც. C-moll, II—A-Dur, III—F-moll, რაპსოდია; 4. ვიოლონჩელისათვის სიმფ. ორკესტრ. აკომპანიმ. I კონცერტი C—Dur, II —D—momll; 5, კამერული მუსიკა—ტრიო როიალის, სკრიპკისა და ვიოლონჩელისათვის; 6, ნოკტიურნი, აღმოსავლური სიმღერა, მოგონება, პრელიუდიები, ფუგა, Zeid და სხ. სასიმღეროდ როიალის აკომპ., ოთხი ლექსი ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის; 7, ოპერა „გულნარა" 3 მოქ. სწერს მეორე სამ მოქმედებიან ოპერას (სათაური არ მითხრა), სონატას როიალისთვის და ერთ ცნობილ ხალხურ სიმღერას (ჯერ ესეც ავტორის საიდუმლოება) გუნდისა და ორკესტრისათვის. ეს უკანასკნელი შეიქნება სიმფონიური კონცერტ. გეცოდინებათ, ირაკლი 1924 წ. ტფილისს მოიწვიეს სახელმ. კონსერვატორიაში პროფესორად, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ჯერჯერობით ვერ წასულა *) ირაკლი ჯაბადარი ევროპის მუსიკალურ წრეებში დიდათ ცნობილია. აქ მუშაობს საქართველოს ხმების დამუშავებაზე, იგი ევროპიულად მომზადებული. დამთავრებული კომპოზიტორია, თავის სამშობლოში დიდს ნაყოფსაც გამოიღებდა, მაგრამ ვაი რომ უსაღსრობის გამო სამშობლოში დაბრუნება ვერ მოუხერხებია. მე რამდენადაც ვიცნობ საქართველოს ისე მომზადებული მუსიკოსი მას არა ჰყავს. Pol de—Coc.

*) როგორც შევიტყვე, საგზაო ფულის მიუღებლობის გამო ვერ მოუხერხებია წამოსვლა ამავე დღეშია მისი ძმა გ. ჯაბადარი სტამბოლში.

რედ.

## წითელი თეატრი



„ჯოჯოხეთი"— დადგმა დ. კობახიძისა.
ეშმაკი—მახარაშვილი ნიკო.

კლიშე—კ. ერი—სა.

## ათეატრო მიმოხილვა

**ქართული სანგანათლების დასი** უკანასკნელ სამ თვეში მუშაობდა ქ. მცირე თეატრში, დროგამოშვებით—ქალაქის განაპირა უბნებში. წარმოდგენები იდგმებოდა ორშაბათობით. ხალხი ბევრი ესწრებოდა. დაიდგა: ს. წერეთლის მალარია", „წითელი ჯვარი", „შავი-მონადირე", „მკითხავის გასამართლება" „ოქტომბრის შიში", „დამნაშავე დედა", „გამოფხიზლებულნი". აღსანიშნავნი არიან მსახიობნი: რონელი, ანკარა, ე. ჩერქეზიშვილი, მარგო, ბალანჩივაძე, გამყრელიძე, ძიგრაშვილი, ნაცვლიშვილი, წერეთელი, ილორელი და სხ.

**ჰაიარტუნის თეატრში** მარტის 15-ს გაიმართა **საიათნოვას საღამო** ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე. დაესწრო სამივე ეროვნების ხალხი. ქართულ ენებზე საიათნოვას ლექსები წაიკითხა მგოსანმა ი. გრიშაშვილმა, სომხურად—მსახ. გულაზიანმა, თურქულად—ალ. ოღანეზაშვილმა, შესრულებულ იქნა დუეტი საიათნოვას ნაწარმოებიდან ოღანეზაშვილის და მარგოს მიერ, შეენივრად დაუკრეს ჰიანურზე ოღანეზაშვილმა და ჩონგურზე ქოთოიანმა, რითაც დიდი აღტაცება გამოიწვიეს. დასასრულ აშუღების ორკესტრმა შეასრულა რამოდენიმე ნომერი საიათნოვას ნაწარმოებიდან, - მღეროდნენ სამივე ენაზე. აშუღების შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს მანუკ, არაქელ, გარუნ და მირზამ. საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა და ყველა მონაწილენი მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს. საღამოს გამგენი იყვნენ: გ. ბაშინჯაგიანი, ა. ოღანეზაშვილი და მ. თუმანიანი მათვე განზრახვა აქვთ მოაწყონ სისტემატიურად კონცერტები, სადაც შესრულებულ იქნება განსაკუთრებით აღმოსავლეთის მგოსანთა ნაწარმოებნი სამივე ენაზე. ხ.

## სახელმწიფო ოპერა



(ნახატი მ. ჭიაურელისა)

## ლადო კავსაძე

**ხალამოს შემდეგ:**

— ვა, ამისთანა ხათაც იქნება! ვსჭამ და ვერა ვსუქდები!!

---

**ნავთლუღის** ქალებსაც არა სძინავთ: მათის წყალობით არსებობს სცენის მოყვარეთა წრე და სხვა კულტურული ჯგუფები, რომლის მეოხებითაც მუშები სულიერად ცოტად თუ ბევრად კმაყოფილდებიან.

ამ მოკლე ხანში დაარსეს ქალთა მჭიდრო წრე, ხელმძღვანელნი: ქ-ნი ჩავლიშვილი, მარ. ბოჭორიშვილი, შიპიცინი და ქეთინო ფალიაშვილი (მდივანი).

ხსენებულ წრეს მიზნად დაუსახავს:

1) ძირიან-ფესვიანად ქალის წარსულის შესწავლა.

2) რას წარმოადგენდა ქალი რევოლიუციამდე?

3) რას წარმოადგენს ეხლა?

4) რას უნდა წარმოადგენდეს მომავალში?

5) ქალთა მდგომარეობის ყოველმხრივი გაუმჯობესება და სხვ.

წრეს აქვს თავისი საკუთარი ,,ქალთა კუთხე'', სადაც იკითხება მრავალნაირი რეფერატი და შინაარსიანი ლექციები.

წრეს განზრახული აქვს აქვე მოაწყოს შინაარსიანი საღამო-წარმოდგენით წრის ფონდის შესაქმნელად.

X.

**მარტყოფში** (სენ. მაზ.) გასულ წლის დამლევს გახსნეს სათეატრო დარბაზი-კლუბი ამხ. გეგეჭკორის სახელობისა. ამ კლუბის გახსნამდე წარმოდგენები იმართებოდა სკოლის დარბაზში და სხ. კლუბ-თეატრს ჰყავს მუდმივი დრამ. დასი. დასში 14-15 წევრამდეა. უმთავრესად ახალგაზრდობაა. დასდგეს „ღალატი", „სულელი", „და-ძმა", „სამშობლო", „გაყრა", „სინათლე" და სხვა. მშრომელი ხალხი ბლომად ესწრება. კლუბი მორთულმოწყობილია მშვენიერი სურათებით, დეკორაციებით, სკამებით და სხ. სამკითხველოც კარგად მოწყობილია: მოიპოვება სახელმწიფო გამომცემლობის და სხვა გამოცემები, შესაფერისად ჰყავს მკითხველი. გახსნეს მუსიკალური სასწავლებელი. მოწვეულია მასწავლებელი. ჰყავს სათანადო მოწაფეებიც.

**პლატონ ბერნსი.**

**ტყავ-ტრესტის** ორთაჭალის ლენინის სახელობის მუშათა კლუბში ადგილობრივ მუშათაგან შემდგარი დრამ. წრე ეპ. კულუმაშვილის რეჟისორობით სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს. აქამდე ფასით იყო (20 კ.—10 კ.) ახლა წევრებისთვის—უფასოდ, არა წევრთათვის 20—10 კ. დღემდე დადგმულია „რიყრაყი" ვერჰარნისა, „ნომერი 21+" ია ეკალაძისა, „ყაჩაღები" შილლერისა, „გაცარცული ფოსტა", „ყომარბაზის ცხოვრება", „ჩვენი ქვეყნის რაინდი" და სხ. ამჟამად მზადდება ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" (სრულად), ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა" და უმუშევარნი" წარმოდგენებს ესწრებიან უმთავრესად ორთაჭალის უბნის მოსახლეობა მუშები და მებაღეები, წრესთან არსებობს ძომღერალთა გუნდი შ. ტალიკაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ხანგამოშვებით სდგავს თავის დრამატიულ ნაწარმოებთ.

**ახალი თეატრი** დაარსდა რუსთველის პროსპექტზე („ჩემოს" ქვეშ), სადაც ხარკოვის დასი გასტროლიორობს სწორედ იმ სახით, როგორც ერთ დროს „ჯიმიადა" იყო ტფილისში. აქ მართლაც ახალია განცდები და შესრულება.

ასეთი მინიატურული თეატრები, რომელიც ასე გავრცელებულია უცხოეთში, ალბად, თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებაა.

თანამედროვე ადამიანს მოღლილსა და ნერვიულს — აღარ ძალუძს რთული ოპერების და ტრაგედიების მოსმენა, მისი სულიერი აღნაგობა მოითხოვს პატარა პიესებს, სატირებს, სცენებს, ინტერმედიებს.

ამ მხრივ მაყურებელი სრული კმაყოფილებით და ნასიამოვნები ბრუნდება თეატრიდან.

ყოველ დადგმაში სჩანს ნიჭიერ რეჟისორ სტროევის ხელი. მსახიობთა შორის აღსანიშნავია ოთხი: პირველად ლიუბანსკი როგორც აუდიტორიის სულის ჩამდგმელია, ვალენტინოვა, ჩიჟოვა და ტომსკაია.

როგორც ყოველთვის კარგია დიმოვი კონფერანსიედ.

თითო საღამოს წარმოდგენა ორჯერ მიდის. ხალხი აუარებელი ესწრება. ადგილების ფასიც ხელმისაწვდომია.

**ნიაზა აისელი.**

**სახელმწიფო ოპერაში** მარტის 28-ს ცომღერალ მიგაის საგასტროლოდ წარმოდგენილ იქნა ოპერა „ტრავიატა". ვერდის ეს ოპერა იმდენად პოპულიარულია, რომ თუ შემსრულებელთა კარგი ანსამბლი არაა, მისი მოსმენა მომხიბლავი და სასიამოვნო აღარაა. ჟორჟ ჟერმონის პარტია საგასტროლოდ დიდ პარტიას არ წარმოადგენს, რომ მსახიობს შეეძლოს სავსებით გადაგვიშალოს ყველა თავისი მუსიკალური თუ არტისტიული მხარე. მაგრამ არცაა საკვირველი, თუ კი ასეთ მცირე როლში მსახიობი მიგაი საუცხოვოდ იძლევა ჟორჟ ჟერმონის დამთავრებულ სახეს. იგი თავის დანიშნულების უმაღლეს წერტილზე სდგას. მისი პიანოს თავისუფალი მოხმარება ყოველ რეგისტრში, საუცხოვო ფრაზიროვკა, დამყარებული როგორც ნოტებზე, ისე სიტყვის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებულ სილამაზეს იძლევა. სილამაზის „კრეშჩენდო" და „დიმინიენდო", მაღალ რეგისტრში ნოტების ფილიროვკა და კეთილშობილი თამაში აყენებს მას ნამდვილად პირველხარისხოვან მსახიობთა შორის. ცნობილ არიას (შვილის მიმართ) ფრიად ორიგინალურ ფრაზიროვკით მღერის, ამ ორიგინალობაში მომღერალს უნდა დავეთანხმოთ, რადგანაც არიაში, სადაც ლირიზმი სჭარბობს, პიანოს მოხმარება უფრო რეალურია, ვიდრე სხვა მომღერლების ხმის უზომო ძლიერება. იგი საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.

ვიოლეტას პარტიაში გამოვიდა მსახიობი პაპოვა. ამ საღამოს განსაკუთრებული სილამაზით და სიძლიერით

ბგერდა მისი ხმა: აღსანიშნავია რეგისტრების სრული თავისუფალი მოხმარება. პირველ აქტში, არიებს მღერის განსაკუთრებულის ტექნიკით. ვიოლეტას პარტია პაპოვას რეპერტუარში ერთ-ერთ ძლიერ შემოქმედებათაგანად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ყოველთვის, მუსიკალურია მომღერალი კულაგინი. ალფრედის როლი ნაკლებად ეხერხება მომღერალს. აქ თამაში აა საჭირო, რაც კულაგინს სრულიად არ ეხერხება.

აღსანიშნავია ამ საღამოს დირიჟორ ვანო ფალიაშვილის სასიამოვნო და ნაზი, დიალაც ვერდისებური, აკომპანიმენტი. ოპერის ინტროდუქცია სიმშვენიერითაა ჩატარებული. საუცხოვო დირიჟორის ხელმძღვანელობით ანსამბლი ჩინებულია.

**ვიო. ინი.**

# ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ანასტასია წერეთლისა** გვთხოვს გამოვაცხადოთ: „რადგან მომავალ დღესასწაულების გამო სოფლებში საყმაწვილო წიგნების დიდი მოთხოვნილებაა, ამიტომ ულარიბეს სკოლების მასწავლებლებს ვსთხოვ ჩემგან წაიღონ ორ-ორი წლის „ჯეჯილი" **უსასყიდლოდ. ანასტასია წერეთლისა** (არტილერიის ქ. № 5)".

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება"** თავისი ხარჯით გაუწერეს ს. დიღუმის დრამ. წრეს დიღუმის კულტკომისიის თავმჯდომარე ვანო გენებაშვილმა, ველისციხის ცხრაწლედის სკოლას — გიგა მირიანაშვილმა.

**პერინის სტუდიაში** სწავლობს ახალგაზრდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელიც დიდ იმედებს იძლევა საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვინაიდან ქართულ ოპერასთან ერთად ქართული ბალეტის მექმნისათვის ჭაბუკიანი ერთი პირველთაგანია.

**ხამუსიკო კონსერვატორიის** მოწაფე, ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი ვლ. გერმესაშვილი, ამჟამად ავადაა, დიდს ნივთიერ სივიწროვეს განიცდის და სასწრაფო დახმარება საჭიროებს.

**სახელმწიფო კონსერვატორია** შაბათს, აპრილის 11, რუსთაველის თეატრში მართავს ეთნოგრაფიულ კონცერტს. ქართული მუსიკის შესახებ სიტყვას წარმოსთქვამს კომპ. დიმ. არაყიშვილი. სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული დასავლეთ საქართველოს სახალხო მომღერალთა გუნდი კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით შეასრულებს ხალხურ სიმღერებს.

**მიხ. ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნები"-ს** ლიტერატურული გასამართლება ამ მოკლე ხანში გაიმართება. ბრალდებულის სკამზე სხედან მარგო, თეიმურაზ ხევისთავი და სხ. მარგოს ბრალმ ებლად გამოვა ქალი. გასამართლებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ლიტერატურული და პოლიტიკური ძალები.

**გამოვიდა ჟურნალი „ახალი კავკასიონი"**, ორგანო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა, № 1—2, მდიდარის მასალით ჟურნალში მოთავსებულია მხატვრული ლიტერატურა საქართველოსი და უცხოეთისა, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მეცნიერება-ფილოსოფია, მემუარები, დოკუმენტები და ბიბლიოგრაფია. მონაწილეობენ საუკეთესო მეცნიერული ძალები (სულ 35 ავტორი), შეიცავს 400 გვ. მეტს (264+ 33), მშვენიერ ქაღალდზე დაბეჭდილის, ღირს 3 მან. და 50 კაპ.

**ძუკუ ლოლუას** გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულების აღსანიშნავად აპრილის 5 სამარეზე გადახდილ იქნა პანაშვიდი მისმა გუნდმა კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით სახელდახელოდ დაწერილი სიმღერა შეასრულა მეგრულად (მწუხარე ჰანგით) „შენმა სიკვდილმა დამაობლა"-ო, რამაც დამსწრეთა შორის ქვითინი გამოიწვია. ხალხი ბლომად დაესწრო.

**ახალი პიესა ლეგენდა—ზღაპარი „სიკვდილი"** დასწერა პართენ გოთუამ, საქართველოს ძველი ცხოვრებიდან. დაწერილია თეთრი ლექსით, ცოცხლად, სურათოვანებით. თემა—სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ახალის გაშუქებით, ფილოსოფიურ სიმბოლიურია, მსოფლიო აზროვანი. გაიზრახულია მისი მოკლე ხანში წარმოდგენა და გამოცემა.

**„კვაჭი კვაჭანტირაძე"**, რომანი მიხა ჯავახიშვილისა, რომლის ნაწილები სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდებოდა, ავტორის მიერ გადაკეთებული და შევსებული ცალკე წიგნად გამოვიდა. შეიცავს 483 გვ. დიდი ფორმატისას. ღირს 2 მ 75 კ. დართული აქვს ავტორის სურათი. გამოცემულია „საბჭოთა კავკასიონი"-ს მიერ.

**საბავშვო მოთხრობები** მჭედლიშვილისა, რომლებიც „ნაკადულ"-ში იბეჭდებოდა, ცალკე წიგნად იბეჭდება. გამოცემა არტელ „პროგრესი"-ას.

**თელავის** მთავარ ციხე-სიმაგრის შესავალ კარის ბურჯ-ოთახში ზ. ჩხიკვაძის თაოსნობით ეწყობა მუზეუმი.

**აკაკის საღამო** გაიმართება აპრილის 6 მცირე თეატრში. შინაარსი: სიტყვა, აკაკი—ეროვნული მუსიკაში, აკაკი ხალხურ მუსიკაში, დეკლამაცია, მელოდეკლომაცია, აპოთეოზი. მონაწილეობენ მგოსნები, მომღერლები, დამკვრელები და სხ.

**კომპ. ზ. ფალიაშვილის** სამუსიკო და საზოგადო მოღვაწეობის 30 წ. იუბილე გაიმართება აპრილის 12 საოპერო თეატრში.

**საქართ. სახელმ. უნივერსიტეტში** გოგია ლაფერაშვილის თაოსნობით დაარსდა ქართ. დრამ. წრე.

**ლექსების კრებული „პროლეტარი"** ბარნაბა მაიაშვილისა ცალკე წიგნად გამოვიდა ბათომში.

**რომანისტი მ. ჯავახიშვილი** თავის ბოლონდელი რომანის „ჯაყოს ხიზნები-ს" გაგრძელებას სწერს პიესად.

**ალ. შანშიაშვილი** „ვეფხის ტყაოსანი-ს" თემაზე სწერს თავისებურ პიესას.

**ია ეკალაძემ** დასწერა ახალი ოთხმოქმედებიანი პიესა თანამედროვე ცხოვრებიდან.

**ი. ნიკოლაძე** მოკლე ხანში განაახლებს მუშაობას თვის ატელიეში. მოქანდაკე ამზადებს ეგ. ნინოშვილის მცირე ზომის ბიუსტებს.

# ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

**დუშეთი.** დრამწრის რეჟისორ-ხელმძღვანელს ბორია ლითანიშვის 23 მარტს უეცრივ ფეხის გადაბრუნების დროს გაუწყდა ფეხის ძარღვი სისხლის ჩაქცევით. ავადმყოფი მოთავსებულია თავის ბინაზე. სწამლობს ცნობილი ქირურგი ექიმი ბლოცეკი.

**დუშეთის დასის გამგეობა.**

მთავლიტ. № 463 ხელმძღვანელი: **კოლეგია.** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.** ტირ. 1500

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

# წიგნთ-დასაკაზმი სახელოსნო

# ძმ. უმიკოვებისა

ტფილისი, შტაბის ქ. № 2, როზა ლიუქსემბურგის ძეგლის პირდაპირ.

იღებს ყოველგვარ დასაკაზმავ საქმეებს.

**ასრულებს დროზე, ფაქიზათ და ზომიერ ფასებში.**

---

## ფოტოგრაფი

# ვ. ჩლაიძე

პლეხანოვის პრ., № 147

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სურათებს

ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად საღებავებითაც

**შეკვეთა სრულდება მხატვრულად**

**ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტექნიკის თანახმად**

სუფთად და თავის დროზე

(5—1)

---

## ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი

(რუსთაველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სახხ-ლის პირდაპირ)

ა! რულებს ყოველგვარ

**საფოტოგრაფიო სამუშაოს**

**სუფთად, ხელოვნურად, სწრაფად.**

(8—6)

---

## რესტორანი

# „მცხეთა"

(ვე~ის დაღმართის ქიმში, ყოფ. ზემელის აფთიაქის ქვეშ)

ევროპიული და აზიური საჭმელები

ახალ-ახალი სანოვაგით

**სადილი** 1—6 საათამდე | **ვახშამი** ღამის 3 ს-მდე.

ყოველთვის მოიპოვება

**მცხეთის პიროშკი**

დაკლებული ფასებით.

პატივისცემით **სერგო კახეთელიძე**

---

## ექიმი ა. დ. ალექსიძე

(რტიშჩევის ქ. № 10)

**მშობიარობა და ქალთა ავადმყოფობა**

იღებს ავადმყოფობებს საღამოობით 4—7 ს., სამშაბათს გარდა

10—2

---

## ფოტოგრაფ

# პ. ნიკოლენკოს

**სინათლით წერის სახელოსნო**

ტფილისი, პლეხანოვის პრ., № 107

ასრულებს ყოველგვარ

**სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოესკიზებს და სხ.**

**ადიდებს სურათებს.**

ღიაა ყოველდღე დილის 10 ს. საღ. 5 ს.

## მცირე თეატრი
(რუსთაველის თეატრის პირდაპირ)

ორშაბათს 6 აპრილს

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს თაოსნობით

# აკაკის

დარდაცვალებიდან 10 (1915—25) წლის შესრულების აღსანიშნავად გაიმართება

## დიდი სამუსიკო-სალიტერატურო
# საღამო

მწერალ-ხელოვანთა თანადასწრებით

I

ა, გახსენება—იოსებ იმედაშვილი

ბ. მუსიკა—სამგლოვიარო ჰიმნი—ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზ-ის სიმფონიური ორკესტრი

გ, სიტყვა—„აკაკის შემოქმედება„—ელენე მამაცაშვილი

დ, მოგონებანი—ივანე ელიაშვილი

ე, ლექსები:—აკაკის „თორნიკე ერისთავი"-დან ნაწყვეტი
„ბრძოლის ველი"—მარ. მუჯირი
მისივე—„მთაწმინდა"—მარგ. ქილარჯიშვილი

ვ, ხოტბა აკაკის პოეტები იონე ვაკელი, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი

II

## ქართველი ქალი

ლექსი აკაკის—გაინსცენიროებული

დედა—ქართველი ქალი—მ. ქილარჯიშვილი
შიკრიკი—ს. ილორელი

### აკაკი ხალხურ მუსიკაში

ა, აკაკის „ნათელას სიმღერა"—დანიელა ურია და ძმანი კრაველიშვილები;

ბ, მის-ვე ლექსები—სასიმღეროდ, აშუღების დასტა—საშა, გარუნ, მირზა, არაქელა, მანუკ და სხვა.

გ. მისივე „პატარა კახი"—დან „დაიგვიანეს" დები თარხნიშვილები,

დ, მისივე „ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე"—სოლო ჭიანურზე—მარო თარხნიშვილი, ჭიანური—ალ. ოღანეზაშვილი.

ე, მისივე „ალმართ ალმართ" ჭიანურზე—ალ. ოღანეზაშვილი.

III

### აკაკი ეროვნულ მუსიკაში

ა, აკაკის გოჩა (არია ოპ. „თამ. ცბ", მუსიკა მ. ბალანჩივაძის გ. ვენაძე.

ბ, მისივე „თავო ჩემო" (ოპ. „დაისი"-დან. მუს. ზ. ფალიაშვილისე) ნ. ქუმსიაშვილი
როიალთან მარ. ანდრონიკაშვილი

IV

## აპოთეოზი

აკაკი ცოცხლად,—მისი ანდერძი ახალ თაობას

ავადმყოფი—ლექსი აკაკისა, მელოდეკლამაცია—გ. დავითაშვილი

საღამოს მთელი შემოსავალი მოხმარდება აკაკის სამარის აღდგენა-გამშვენიერებას.

დასაწყისი საღ. $8^{1}/_{2}$ საათზე.

გამგე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქცია,
პასუხისმგებელი იოსებ იმედაშვილი.

მე-2 სტამბა პოლიგრაფტრესტისა, ლენინის ქუჩა № 3.



# ა კ ა კ ი

(1840—1915—1925)



**აკაკის ავტოგრაფი**

(აკაკის საკუთარი ხელით ნაწერი)